ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 13
(11 367)

15 – 17 თებერვალი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ქვეყნის პრეზიდენტმა სპორტზე ზრუნვა სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანა

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამ დღეებში ყოველწლიური საანგარიშო მოხსენებით წარსდგა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. მოხსენებაში გაანალიზდა 1999 წლის შედეგები და 2000 წლის ამოცანები. პრეზიდენტის ყოვლისმომცველ მოხსენებაში ცალკე გამოიკვეთა ქართული სპორტის პრობლემები, რომელიც საპროგრამო დოკუმენტად უნდა იქცეს ქვეყანაში. გთავაზობთ ამ საკითხზე პრეზიდენტის გამოსვლის სრულ ტექსტს.

სპორტი

ყველა განვიცდით ქართულ სპორტში შექმნილ მდგომარეობას — სპორტის მოყვარულებიც და, ასე ვთქვათ, გულგრილი მაყურებლებიც. მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია, საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

ამ ცოტა ხნის წინათ, სწორედ პარლამენტის შენობაში საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელების, პარლამენტართა აქტიური მონაწილეობით გაიმართა ამ საკითხზე მეტად საინტერესო და კონკრეტული საუბარი. მიუხედავად ყველაფრისა, უნდა გამოიძებნოს თანხა, რომელიც ოლიმპიური ასპარეზობისათვის სპორტსმენების მზადებასა და ამ ასპარეზობაში მათ მონაწილეობას სჭირდება. ეს ჩვენი ქვეყნის ღირსების საქმეა.

მეტი დახმარება სჭირდება ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტს. ახალგაზრდობა ჩვენი ხვალინდელი დღეა. ახალგაზრდობისაა ოცდამეერთე საუკუნე.

ერთი მხრივ, სპორტს სჭირდება ბიუჯეტიდან უკეთ დაფინანსება. მეორე მხრივ, სპორტს თვითონ უნდა შემოჰქონდეს ბიუჯეტში შემოსავალი.

მე ვთხოვ შინაგან საქმეთა მინისტრს, მოგვაწოდოს მასალები იმის შესახებ, რაც „დინამოს" სტადიონთან დაკავშირებით ხდებოდა. როგორც მეუბნებიან, იმის ნაცვლად, რომ შემოსავალი ფეხბურთის განვითარებას ხმარდებოდეს. ბევრი თანხა არადანიშნულებისამებრ იხარჯება. ყველაფერში უნდა გავერკვეთ და ამგვარ მოვლენას ბოლო მოვუღოთ.

უკეთ უნდა დავაყენოთ სპორტული ლატარიის და სხვა საპრიზო ასპარეზობათა ორგანიზება. დღეს ამას გეუბნებით, ხვალ კი უკვე მოგთხოვთ, რადგან ეს პირველად არ ითქვა.

სალიცენზიო ტურნირები

ალექსი მოდებაძე ახლოსაა სიდნეისთან

ჭიდაობის მოყვარულები ალბათ მოუთმენლად მოელიან ცნობას ლაიპციგიდან, სადაც რიგით მესამე სალიცენზიო ტურნირში სცდიდნენ ძალას ჩვენი თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. წუხელ ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გვაცნობა, რომ გერმანიიდან მიღებული ძუნწი ინფორმაციით, მხოლოდ ერთმა ქართველმა ფალავანმა ალექსი მოდებაძემ შეძლო საპრიზო ადგილზე გასვლა – იგი მესამე იყო. წინა ტურნირში, გახსოვთ ალბათ, ალექსიმ პირველობა მოიპოვა და ახლა მომდევნო მესამე ტურნირში ათეულს მიღმა თუ არ დარჩა, რაც ძნელი წარმოსადგენია, სიდნეიში ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობის უფლება გარანტირებული ექნება.

ომზარ შოშიტაშვილმა გვაცნობა ისიც, რომ თავიანთ მესამე სალიცენზიო ტურნირზე დღეს, 15 თებერვალს, ტაშკენტში მიემგზავრებიან ჩვენი „კლასიკოსები". ამჯერად მხოლოდ სამი ფალავანი გავა ხალიჩაზე – გარდაბნელი კობა გულიაშვილი (58 კგ), თბილისელი ლევან ოდიშარია (63) და თერჯოლელი მირიან გიორგაძე (მძიმე). მხოლოდ მათ აქვთ შანსი მოიპოვონ სიდნეის საგზური თავიანთ წონაში.

მძლეოსნობა ირანის საერთაშორისო ტურნირი

5 მონაწილიდან – 4 მედალი!

დღეს, უველაზე გამორჩეულ ასპარეზობაზეც კი, მეტწილად ჩვენი ათლეტები ან საკუთარი, ან სპონსორის მოწყალებით თუ მიემგზავრებიან. ბოლო ხანებში ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმაც გამოიღეს ხელი და ქვეყნის რჩეულ სპორტსმენებს თავადაც აფინანსებენ. ამჯერად სწორედ მათი შემწეობით გაემგზავრა ირანში ოთხი ჩვენი მძლეოსანი საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიაც 10 ქვეყნის რჩეული სპორტსმენი მონაწილეობდა. საქართველოდან ძირითადად მორბენლები გავიდნენ სტარტზე. თუმცა, გარდაბნელმა დავით ილარიანმა სიგრძეზე ხტომაშიც მოსინჯა ძალა. მან საკვალიფიკაციო ნორმატივს 6 სანტიმეტრით გადააჭარბა (676 სმ), მაგრამ ასპარეზობა ამ სახეობაში ველარ გააგრძელა, რადგან 60 მ-ზე თარჯრბენში უხმეს ფინალურ სტარტზე. დავითმა აქ ჩინებულად იასპარეზა და ფინიშთან მეორე იყო — 8,46 წ. აღსანიშნავია, რომ წინასწარ გარბენში მან გაცილებით უკეთესი შედეგი — 8,40 წ. აჩვენა. ეტყობა პარალელურად სიგრძეზე ხტომაში გადანაცვლებამ მაინც უარყოფითი გავლენა იქონია. 60 მ. თარჯრბენში მესამე შედეგი აჩვენა ქუთაისელმა სერგეი ტურიატკომ — 8, 47 წ. 3000 მეტრზე რბენაში ასევე მესამე იყო ახალციხელი ზიგმუნდ ზილბერშტეინი — 8,26 წ. ბათუმელ რუსლან რუსიძეს 60 და 200 მ. დისტანციაზე ხელი მოეცარა და ფინალურ გარბენში ვერ მოხვდა.

ჩვენს მძლეოსნებს ირანში ახლდა ოლიმპიური რეზერვის უმაღლესი დაოსტატების სკოლის დირექტორი რევაზ ოდიშარია, რომელმაც გვითხრა, რომ საქართველოს წარგზავნილებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს უცხოელ სპეციალისტებზე და მადლობას უხდის ყველას, ვინც მათი დაფინანსება უზრუნველჰყო.

ც. ბაქრაძე



დავით ილარიანი



სერგეი ტურიატკო

ზიგმუნდ ზილბერშტეინი

კამერუნელებმა მესამედ მოიპოვეს „შავი კონტინენტის" უძლიერესი ნაკრების წოდება. როჯე მილას შთამომავლების სიხარულს საზღვარი არა აქვს. ასეა, ფავორიტად შერაცხულმა ნიგერიელებმა ვერაფრით მოათვინიერეს „მოუთვინიერებელი ლომები".

სიხარულიძე-ბერეჟნაიას წყვილი კვლავ უძლიერესია

ანტონ სიხარულიძე და ელენა ბერეჟნაია კვლავ რჩება ციგურაობაში მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს წყვილად. მათ აქტივშია მსოფლიოს და ევროპის ორ-ორგზის ჩემპიონობა. მეორედ ჩვენი კონტინენტის უძლიერესის სახელი დუეტმა ვენაში ამ დღეებში გამართულ ჩემპიონატში მოიპოვა.

**ლარის ოფიციალური კურსი:
1 აშშ დოლარი –1.9799 ლარი.**

ეროვნული სტადიონი: ეროვნული სიამაყე, ეროვნულ სირცხვილად იქცა!

SOS

მაინც რამდენი ნაბიჯია სიამაყიდან — სირცხვილამდე? თუ ჩვენი ეროვნულ სტადიონსა და მის მიმდებარე ბაზრობას მოვიტანთ სამაგალითოდ — სულ მხოლოდ — ორიოდე. დიახ, დიახ, სწორედ ასეა!

ჯერ ბაზრობამ აკაკი წერეთლის გამზირის ტროტუარზე გადმოაბიჯა ბალის მხრიდან, მერე გამზირიც გადმოკვეთა და სტადიონის გასწვრივ გამავალი ტროტუარიც აითვისა, შემდეგ სტადიონის ღობეც გაიჭრა აქეთ-იქიდან და უკვე ამ სპორტული არენის ტერიტორიიდან გამოჰყო ცხვირი ჯიხურებმა თუ კვების ობიექტებმა, მერე უკანაც მიიხედეს და, რა დაინახეს — ეს ამხელა სპორტული ბაზის ტრიბუნების „ჭერი" ვებერთელა ცარიელ სივრცეს გადმოჰყურებდა და წვიმისგანაც იცავდა, უფრო ღრმად შეიხედეს და, გაიხარე სულო და გულო, რამდენი სათავსოები, რამდენი სივრცე ყოფილა აუთვისებელი, თან ბევრი ისეთი კარების შებმას რომ მოითხოვდა მხოლოდ. მაგრამ ეს ვინ იკმარა, მაღა ჭამაში მოდისო და შეესიენ აქეთ-იქიდან, სულ ნაწილ-ნაწილ დაიტაცეს, ბევრჯერ თურმე გაწევ-გამოწევაც ყოფილა სხვადასხვა კაბინეტში, ესა თუ ის სივრცე ან სათავსო არა ჩემია და არა ჩემიაო. მოკლედ, ზოგმა ძალით, ზოგმა ვიღაც-ვიღაცეების ჩარევით, მაგრამ, ალბათ, ყველამ ერთად მოქრთამვით დაითრიეს ნაწილ-ნაწილ გაყიდული ჩვენი ეროვნული სტადიონის პრესტიჟული ადგილები. გაიხსენეთ ნიკო ლორთქიფანიძე: „იყიდება საქართველო, იყიდება ნაწილ-ნაწილ!" ჩვენი ეროვნული სტადიონის შემხედვარეს, ახლა ამას პერიფრაზიც ნაკლებად სჭირდება: იყიდება ეროვნული სტადიონი, იყიდება ნაწილ-ნაწილ.

კარგად გვახსოვს ამ სტადიონის რეკონსტრუქციას არქიტექტორი მხოლოდ ძველი იერსახის შენარჩუნებით დათანხმდა. დღეს კი ასე თავხედურად აფათურებენ ხელებს დედასტადიონის უბეში, დიდი ტაციობაა მის ყველა კუთხე კუნჭულზე, ეგაა ჯერჯერობით არენას, სარბენ ბილიკებს, გასახდელებსა და სათამაშო მინდორს ვერაფერში იყენებენ. ჩვენი ბედოვლათობის ამბავი რომ ვიცით, შეიძლება სტადიონის უფრო სიღრმეში შეჭრის დროც არ არის შორს!

ენა როგორ მოგვიბრუნდება და ვიტყვით, „ჰყავს თუ არა ქალაქს პატრონიო". ბარე ერთი და ორი დედაქალაქი ვერ დაიტრაბახებს, ჩვენ რომ თავკაცი გვყავს, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა გავიღოთ ხმა, მაღა თუ არ წავუხდინეთ თავაშვებულებს და ყველაფრის ფულზე გამყიდველებს, ხვალ შეიძლება, საერთოდ აღარ შემოგვრჩეს სპორტული ბაზები...

მიმომხილველი

ნაცნობი სიტუაცია

სტადიონების ბაზრობებად გადაქცევა თურმე პუტინსაც აღარდებს!

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" ყოველკვირეული დამატების ბოლო ნომერში დაიბეჭდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ვლადიმირ პუტინის ვრცელი ინტერვიუ „პირდაპირი სატელეფონო ხაზით", რომლითაც უპასუხა გაზეთის მკითხველთა შეკითხვებს. მათ შორის იყო ასეთი შეკითხვაც:

● *ვლადიმირ ვლადიმირის ძევ, გამარჯობათ, ლიუდმილა მქვია, მოსკოველი ვარ. მინდა გავიგო ფეხბურთი თუ გიყვართ.*

— მიყვარს ლამაზი ფეხბურთი. იგი ძალიან მაგონებს ხელოვნებას.

● *როდისღა გვექნება „სპარტაკის" სტადიონი? ეს გუნდი ხომ ჩემპიონთა ლიგაში გამოდის.*

— თქვენ იცით, დიდ სპორტულ ნაგებობებთან დაკავშირებით რა დიდი პრობლემა გვაქვს. ამ ობიექტების უმრავლესობა პროფკავშირების კუთვნილებაა. ძალიან არ გვინდა მათთან უთანხმოება, რომ გვქონდეს. რაც ისეთ შთაბეჭდილებას შექმნის, რომ რაღაცის გარდაქმნას ვაპირებდეთ. ერთი რამ ცხადია, მსხვილი სპორტული კომპლექსები სრულიად სხვა მიზანს უნდა ემსახურებოდეს, და არა ბაზრის ფუნქციას ასრულებდეს, სადაც მანუფაქტურითა და ტანსაცმლით ვაჭრობენ. ასე რომ, ამაში მე და თქვენ მოკავშირეები ვართ!

● *ასეთი ახალგაზრდა, ასეთი ენერგიული ხართ, უნდა მოჰკიდოთ ამას ხელი.*

— კარგით, ლიუდა, შევეცდებით.

სპორტი – ყველასათვის!

ინგლისის დედოფლის შვილიშვილი ჰარი შვეიცარიის ალპების სათხილამურო ტრასების ხშირი სტუმარია

ორი მიკრორაიონი – ორი ბედი

ანუ იმის შესახებ, თუ ჩვენი დედაქალაქის ორი მიკრორაიონი როგორ მეტოქეობდა სპორტში (ადრე) და ბაზრობებით (ახლა)

ჩვენ, თბილისის ორი მიკრორაიონის — დიღმის ცნობილი მასივისა და ლილოს დასახლების მცხოვრებთ გაგვიგონია, რომ ქალაქის ეს ორი ნაწილი თავიდანვე ეტოქებოდა ერთმანეთს იმაში, თუ რომელი მათგანი შეიტანდა უფრო მეტ წვლილს ქალაქის ეკონომიკური. თუ კულტურული პოტენციალის ამაღლებაში. ამგვარი მოცილეობით მოგებული რჩებოდა ჩვენი დედაქალაქი.

მცხოვრებთა გასახარად, — ეს სასარგებლო მეტოქეობა არსებობდა სპორტშიც: დიღმის მასივში, როგორც უფროსებისაგან გაგვიგონია და ქალაქის სპორტის ისტორიის წყაროებშიც წაგვიკითხია, ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო სპორტული ბაზების ინტენსიური მშენებლობა. ამ საქმეში მაშინ მთავრობას მხარში ამოუდგა თავად მოსახლეობა, რომლის სპორტის ვეტერანთა ჯგუფის — ისაკ კიზირიას, ალექსანდრე რატიას და სხვათა ხელმძღვანელობით დაიწყო სპორტული ბაზების მშენებლობის „ბუმი“. აშენდა ათობით მიკროსტადიონი, ასე გასინჯეთ — ძვირადღირებული და ძნელად მოსავლელი ჩოგბურთის კორტებიც კი. საქმეზე გულდამწვარმა ენთუზიასტებმა, ცხადია, ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების თანადგომით იქამდეც კი მიიყვანეს საქმე, რომ ტრადიციულად ტარდებოდა მიკრორაიონის სპარტაკიადა. ერთი სიტყვით, დიღმის მასივი სპორტული ცხოვრებითაც ქალაქის სანიმუშო მიკრორაიონად იქცა...

ცოტა უფრო გვიან, იმავე საერთო სახალხო მოძრაობამ და სპორტის მასობრიობისათვის ბრძოლის ენთუზიაზმმა გადმოინაცვლა ქალაქის აღმოსავლეთითაც — ახალგაშენებულ მესამე მასივსა და ლილოს დასახლებაშიც. უფროსებისაგან გაგვიგონია, — აშენებულა მრავალი სპორტული ბაზა, რომელთა შორისაც ზოგიერთი სტადიონი მთელი ქალაქის ნორჩ სპორტსმენებსაც წარმატებით ემსახურებოდა.

მაშინ ქალაქის ამ ორი, აღმოსავლეთითა და დასავლეთით მდებარე მიკრორაიონების სპორტული ცხოვრება სანიმუშოდ იყო მიჩნეული საკავშირო მასშტაბითაც და ხშირად მათი საქმიანობა საერთო განზოგადებისა და მიბაძვის ობიექტადაც კი გამხდარა.

... გაიარა ხანმა, და სულ ახლახან, დაგვიდგა არასასიამოვნო პოლიტიკური კატაკლიზმების პერიოდი, ქალაქში დასადგურებულ ეკონომიკურ სიდუხჭირეს მოჰყვა. ამ ორივე მიკრორაიონის სპორტული ცხოვრების საოცარი და მომაკვდინებელი რეგრესი. დღეს სპორტული ბაზებით ცნობილ ამ ორ დასახლებულ მიკრორაიონში ნორმალური სპორტული ბაზები თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა. თანამედროვე თაობას მხოლოდ მათი ნანგრევებილა შემორჩა. წინანდელ სპორტულ ბაზებს ავტოსადგომებმა და სავაჭრო ობიექტებმა გადაუარეს და, რაც ყველასათვის თვალშისაცემი გახდა, — სპორტი უცხო ხილად იქცა ამ სპორტული ბაზებით სახელგანთქმულ დასახლებულ ადგილებში. სამაგიეროდ (გიხაროდენ!) ფართო მასშტაბი მიეცა შეჯიბრებას იმაში, თუ რომელ მიკრორაიონში მოეწყობა მასშტაბური ბაზრობები. მოკლედ, შეჯიბრება გრძელდება... მაგრამ, სამწუხაროდ, არა ძველებურად და არა სპორტის სასარგებლოდ!

თეა ბერიშვილი, მაია ბერძენიშვილი, ნინო მჭედლიშვილი, ნინო კუპრაშვილი,
დიღმისა და ლილოს მიკრორაიონებში მცხოვრებნი, საქართველოს სპორტის აკადემიის ინგლისური ფაკულტეტის სპორტულ ჟურნალისტთა ჯგუფის სტუდენტები.

? შეკითხვა „ლელოს“

შეკითხვა: ახლახან შევიტყვე, რომ თურმე დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (ჯომოლუნგმა) გაცილებით მაღალი ყოფილა, ვიდრე ეს აქამდე იყო ფიქსირებული. გთხოვთ გვიპასუხოთ, ვინ დაადგინა თავდაპირველად ამ მწვერვალის სიმაღლე და ვინ და რის საფუძველზე დააყენა დღეს ეს სიმაღლე ეჭვქვეშ?

ბესიკ ორთოიძე, ქუთაისი, მოყვარული მთამსვლელი.

პასუხი: ენციკლოპედიურ ლიტერატურაში ევერესტი (ჯომოლუნგმა, ჩომოლუნგმა), შეტანილია, როგორც უმაღლესი მთის მასივი დედამიწაზე, ჰიმალაის მთებში, ნეპალისა და ჩინეთის საზღვარზე. მისი სიმაღლეა 8848 მ. პირველად ეს დაადგინეს ინდოელმა მკვლევარებმა 1954 წელს, 1975 წელს კი ჩინელების გამოკვლევამაც ზუსტად იგივე სიმაღლე დააფიქსირა.

1999 წელს ევერესტის სიმაღლის დადგენას ხელი მოჰკიდეს ბოსტონის ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების სპეციალისტებმა და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ევერესტი 2 მეტრით უფრო მაღალია, ვიდრე ეს ადრე იყო დადგენილი. ბოსტონელი მეცნიერები იშველიებენ კოსმოსური თანამგზავრების, აგრეთვე სპეციალური აპარატურის მონაცემებს, რომელიც შვიდმა მთამსვლელმა 1999 წლის 5 მაისს აიტანა ამ მწვერვალზე. ნეპალის ხელისუფლებამ უარყო ევერესტის სიმაღლის ახალი ვერსია. როგორც ჩანს, ეს საკითხი მსოფლიო სწავლულთა განსასჯელი გახდება.



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ერთი ტურიც და, გორელები შეიძლება ჩემპიონატიდან მოხსნან

ჩვენს საკალათბურთო ცხოვრებაში არა მხოლოდ სპორტული, სამეურნეო დაძაბულობაც გრძელდება. სპორტული თვალსაზრისით განვლილ XVII ტურში საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო „ბასკოსა“ და „აზოტის“ შეხვედრა. გულშემატკივრებმა იციან, რომ ეს ორი გუნდი ლიდერობს გათამაშებას და სათავეში მყოფ ბათუმელებს, რუსთაველები მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩებიან (შესაბამისად 34 და 30 ქულა). მათი ურთიერთშეხვედრა ამ ტურში ბათუმში გაიმართა და თამამად შეიძლება ითქვას, მატჩი ნამდვილ საკალათბურთო ზეიმად იქცა, რაშიაც თვით კალათბურთელებს მიუძღვით დიდი წვლილი. გახსოვთ ალბათ, ადრინდელი შეხვედრა „ბასკომ“ სტუმრად მოიგო რუსთავში. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „აზოტი“ მარცხს შეგუებული ჩავიდა ბათუმში. თუმცა, მატჩის დებიუტი მათ კარგს არაფერს უქადდა – „ბასკო“ ერთაბაშად 17 ქულით დაწინაურდა. რუსთაველთა გასწვრივ ტაბლოზე კარგა ხანს „0“ კიაფობდა. „აზოტი“ რომ საბრძოლველად იყო განწყობილი, სწორედ ამის შემდეგ გახდა აშკარა. მან ძალები მოიკრიბა და თამაში გაათანაბრა, პირველი ნახევარი ფრედ დასრულდა. შემდეგ, როგორც იყვიან, თამაში ქულა-ქულაში წავიდა და გამარჯვებული ძირითად დროში ვერ გამოვლინდა – 78:78. დამატებით პერიოდიც ის იყო ფრედ სრულდებოდა – 87:87, რომ სწორედ ამ დროს გაგზავნა ბურთი ფარისკენ ბათუმელმა მაისურაძემ. მის მიერ ნატყორცნ ბურთს „ხელი შეაშველა“ კვაჭაძემ და გამარჯვება „ბასკომ“ იზეიმა – 89:87.

ზემოთ ორგანიზაციული აჟიოტაჟი ვახსენეთ. გორის უნივერსიტეტის გუნდს, ფინანსური დავალიანების გამო, კვლავ წაგება 0:20 ჩაეთვალა, ამჯერად „ვითასთან“ კიდევ ერთი ტური და, გორელებმა დავალიანება თუ ვერ დაფარეს, ჩემპიონატს გამოემშვიდობებიან. ამ ტურში დიდ ინტერესს იწვევდა აგრეთვე „მაკაბისა“ და სდასუ-ს პაექრობა. „მაკაბი“ ბოლო ხანს ყველასთვის ანგარიშგასაწევი გუნდი გახდა. იგი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო, თუმცა ბოლო წუთებზე თავი იჩინა არითმიამ, რის გამო „მაკაბმა“ დასანანი მარცხი იწვნია – 74:85.

დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: თსუ-შევარდენი 80:68; „დინამო“ – სსუ 75:63; სტუ – ასკ 103:67. სტუ-ს 30 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა. შემდეგ მოდიან: „ვითა“ – 29, სდასუ – 28, თსუ – 27, „მაკაბი“ – 26, „დინამო“ და „შევარდენი“ – 22-22, გსუ – 20, სსუ – 19 და ასკ – 18.

...და ისევ თამაში

„ლელოს“ ამასწინანდელ ერთ-ერთ ნომერში ჩვენი მკითხველები გაეცნენ უძველესი აზარტული თამაშების, კერძოდ, კარტის (ქაღალდის), კამათლის, „რულეტკის“ ჩასახვა-განვითარებას, დღეს რომ მთელი მსოფლიო ეტანება. ყველა ეს თამაში ადამიანის გონებრივ გავარჯიშებას უკავშირდება. დღეს კი გთავაზობთ არანაკლებ პოპულარულ თამაშს, რომელიც თვალის სიზუსტესა და საზრიანობასთან ერთად საკმაო ფიზიკურ მომზადებასაც მოითხოვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბილიარდი სპორტის რამდენიმე სახეობას „უყრის თავს“. კიის ოსტატთა აზრით, ეს მიზანში სროლაცაა, თავისებური ჭადრაკიც და უხვად მოიცავს ტანვარჯიშის ელემენტებსაც, როცა ზურგით უნდა მიუდგე მაგიდას ბურთულის დასარტყმელად, ხშირად წინა და უკანზნექსაც ყქეთებ მაგიდაზე. ნამდვილი ოსტატი პირამიდის (ასე ეწოდება საწყისი დარტყმისათვის სამკუთხედად განლაგებულ ბურთულებს) დაშლის შემდეგ რამდენიმე მომგებიან (ანუ შედეგიან) პოზიციასაც გაიაზრებს მოჭადრაკესავით.

დღეს მსოფლიოში ბილიარდის რამდენიმე სახეობაა გავრცელებული, მათ შორის სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება „პული“, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კანადასა და ამერიკაში. მაგრამ იგი შორსაა კლასიკური ბილიარდისაგან, იგივე რუსულ პირამიდასა თუ ამერიკანკასთან ან კარამბოლთან. საქმე ისაა, რომ მას უფრო სათამაშო ატრაქციონად მიიჩნევენ, ვინაიდან ძალზე გამარტივებული თამაშია. აბა ვის გაუჭირდება 7-სანტიმეტრიანი დიამეტრის ბურთულის გაგზავნა 20 სმ-იან ლუზაში. ამიტომაც, იგი მაღალ სპორტულ დონეს რომ არ მოითხოვს, ნამდვილ შოუდ იქცა. და მაინც დღეს ამ თამაშის ნამდვილი ბუმია მსოფლიოში, ბევრ ქვეყანაში ბოულინგსაც გადააჭარბა. ეტყობა სროლის გამოა იგი უფრო ხელმისაწვდომი, თორემ განა შეედრება იმავ კარამბოლს, სადაც, სულაც არ არის საჭირო რომ ბურთულა ტყვიასავით „შევარდეს“ ლუზაში. აქ მთავარია დარტყმის სიზუსტე, რომელიც მიკრონამდე უნდა იყოს გამოზომილი — ხშირად ამ ულამაზეს თამაშში დარტყმული ბურთულა მრავალი „სვლის“ შემდეგ აღწევს მიზანს. ამიტომაც დღეს მას მხოლოდ სტრატეგი „მხედართმთავრები“ თამაშობენ.

სხვათა შორის, „ამერიკანკას“ თვით ამერიკაში თითქმის არ იცნობენ. ამის მიზეზი ალბათ ბევრმა არ იცის. ბილიარდის ეს სახეობა რუსეთში წარმოიშვა. ასეთი სახელი კი იმიტომ ეწოდა, რომ XIX საუკუნის ბოლოს ამერიკა თავისუფალი ქვეყანა იყო, სრულიად „თავნება“. „ამერიკანკაშიც“ სრული თავისუფლებაა. შეგიძლია ნებისმიერი ბურთულა მოარტყა ბურთულას, რომელიც თვალში მოგივა. მაგრამ ჩაფიქრებული დარტყმა — „სვლა“ აბსოლუტური სიზუსტით უნდა შესრულდეს, რაც ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ნებისყოფის სიმტკიცეს მოითხოვს. მაშ, რით არაა ბილიარდი ჯანსაღი სპორტი. სამწუხაროდ, ადრე სულ სხვა პოზიციით უდგებოდნენ მას, ვინაიდან მოთამაშეში მხოლოდ შულერსა და თაღლითს ხედავდნენ. ამიტომაც ჩვენს საბილიარდოებში გამოკრული იყო ფირნიში წარწერით „16 წლამდე მოზარდი არ დაიშვება სათამაშოდ!“

ახლა სხვა დროა, ძირფესვიანად შეიცვალა ცხოვრებისეული პოზიციები, განსაკუთრებით ჩვენში და ბილიარდისადმი დამოკიდებულება სავსებით ლმობიერი გახდა. მით უმეტეს, რომ სიდნეის წლევანდელი ზაფხულის ოლიმპიადაზე ბილიარდის ყველა სახეობის აპრობაცია შედგება „ამერიკანკის“ გარდა. ახლა უკვე ბილიარდში ბავშვებიც მოდიან. შეიქმნა ბილიარდის მოთამაშეთა სექციები (თბილისში მას ხელმძღვანელობს შესანიშნავი ოსტატი, ბატონი გივი კობონიძე). მოსკოვში კლუბ „Русская пирамида“-სთან 1990 წლიდან მოქმედებს მოზარდთა სკოლა.

მაინც, ბილიარდის რა სახეობები არსებობს?

ამერიკანკა. თამაშია 16 ბურთულით, თითოეული შეიძლება გამოიყენონ დასარტყმელად და სამიზნედ. იგებს ის, ვინც პირველმა ჩააგდო რვა ბურთულა.

ბილიარდი რომ საყოველთაო პოპულარობით სარგებლობს, ეს ფოტოც მოწმობს, რომელიც გადაღებულია მოსკოვში ბიკოვა-გაფრინდაშვილის მსოფლიო პირველობის მატჩის დღეებში. მარცხნიდან — ცნობილი მომღერალი მარკ ბერნესი, პოეტი სერგეი მიხალკოვი, ნონა გაფრინდაშვილი.

რუსული პირამიდა — თამაში 15 დანომრილი ბურთულითა და დასარტყმელით. გამარჯვებულმა პირველმა უნდა დააგროვოს 71 ქულა.

პული — თამაში 15 ნაირფერადი ბურთულითა და დასარტყმელით ბურთულის დიამეტრთან შედარებით საგრძნობლად გადიდებული ლუზებით. გამარჯვებულმა პირველმა უნდა ჩააგდოს „თავისი“ (ამორჩეული) ფერის 7 ბურთულა და „რვიანიც“ უნდა მიაყოლოს.

სუპერი — თამაში 21 ნაირფერადი ბურთულით, სხვადასხვა „ღირებულებისა“ და დასარტყმელი ბურთულით. „სიადვილით“ ძალიან წააგავს პულს. ქულები გროვდება, როგორც „თავისი“ (ლუზაში თანმიმდევრობით ჩავარდნილი ბურთულებით), აგრეთვე გეწერება მეტოქის „საჯარიმოები“. თამაში გრძელდება სანამ მაგიდაზე ბურთულა არ დარჩება. მოგებულმა პარტნიორზე მეტი ქულა უნდა დააგროვოს.

სამქიმიანი კარამბოლი — თამაში ულუზებო მაგიდაზე ერთი წითელი და ორი თეთრი დასარტყმელი ბურთულებით (ერთ-ერთი აღნიშნულია წერტილით). პარტნიორები „თავიანთი“ ბურთულით ურტყამენ. ქულის მოსაპოვებლად, დასარტყმელი ბურთულა თანმიმდევრულად სულ ცოტა სამჯერ მაინც უნდა შეეხოს მაგიდის ქიმებს და თითოჯერ ორივე ბურთულას. კარამბოლის მაგალითი: ქიმი-ქიმი-ბურთულა 1-ქიმი-ბურთულა 2). მოგებულმა პირველად უნდა მოაგროვოს დათქმული რიცხვი.

რა თქმა უნდა, საბილიარდოების რიცხვი თბილის-ქალაქში ადრე გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დღეს არის. აი, მუშტაიდის პარკში მოქმედ საბილიარდოსთან ერთად იყო: საბილიარდო ფუნიკულიორზე — სამი მაგიდა, ზამთრისა და საზაფხულო ოფიცერთა სახლებში, ვოროშილოვის სახელობის (ყოფილი ქართული) კლუბში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, სასტუმროებში — „თბილისში“, „პალასში“ (დღევანდელი ხელოვნების მუზეუმი), აგრეთვე ძერჟინსკის სახელობის კლუბში და უამრავ თბილისურ ოჯახში (დიდი მაგიდები იგულისხმება).

ჯ. უნბიაძე

აფრიკის თასი – კამერუნს

ნახევარფინალები:

ნიგერია — სამხრეთ აფრიკა 2-0

გოლები: ბაბანგიდა (1,34)

კამერუნი — ტუნისი. 3-0

გოლები: მბომა (11.67) ეტო, ო (38)

მატჩი მე-3 ადგილისათვის

სამხრეთ აფრიკა — ტუნისი 2-2 (პენ 4-3).

გოლები: 1-0. ბარტლეტი (11), 1-1 ზიტოუნი (27), 2-1. ნიმვეტე (62), 2-2. ზიტოუნი (90).

ფინალი

ნიგერია-კამერუნი 2-2 (პენ. 3-4)

ნიგერია: შორუნმუ, ოკპარა, იენემი, ვესტი, ბაბაიარო, ოლისე, ადეპოჟუ (იკპება. 96), ოკოჩა, ფინიდი (ბაბანგიდა. 70), კანუ, ჩუკუ (აგაჰოვა. 46).

კამერუნი: ალიუმი, სონგი, კალა (მეტომო, 93), ნჯანკა, ფოე, ვომე, ქერემი, ლაურენი, ოლემბე, მბომა, ეტო,ო (ქობი. 72).

გოლები: 0-1. ეტო,ო (26), 0-2. მბომა (32), 1-2 ჩუკუ (45), 2-2 ოკოჩა (48).

ნიგერია — განაში ჩატარებულ აფრიკის ჩემპიონატს დაძაბული და საინტერესო მატჩები არ აკლდა. აფრიკაში ხომ ფეხბურთის დონე საოცარ პროგრესს განიცდის. 16 მონაწილიდან ყველას ჰყავდა ევროპელი ლეგიონერები, ხოლო რიგი გუნდები თითქმის მთლიანად „ბებერ კონტინენტზე" გამობრძმედილი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული.

ტურნირის ფავორიტები, რაღა თქმა უნდა, მასპინძლები — ნიგერია და განა იყვნენ. ეს უკანასკნელნი ხომ იუნიორთა ყველა ასაკის შეჯიბრებებში დიდ წარმატებებს აღწევენ. განელებს ურიგო შემადგენლობა როდი ჰყავდათ (მაგალითად, კუფური „ბაიერნიდან", ადო „ბორუსიიდან"...), მაგრამ ქომაგებს იმედი გაუცრუეს. ჯერ ჯგუფიდან ძლივს გააღწიეს, ხოლო მეოთხედფინალში სამხრეთაფრიკელებს ემსხვერპლნენ.

კამერუნის ნაკრები

განელებთან ერთად სირცხვილი ჭამეს მაროკოელებმა, რომლებმაც ნიგერიელთა და ტუნისელთა გარემოცვაში ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავეს. ჩვეულად ვერ ითამაშა 1998 წლის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელმა მუსტაფა ჰაჯიმაც. თუკი ამ ორმა ნაკრებმა ღირსშესანიშნავი ვერაფერი აჩვენა, ტუნისელებმა, ალბათ, თავიანთ მაქსიმუმს მიაღწიეს.

„სიკვდილის ჯგუფიდან" (ნიგერია, ტუნისი, მაროკო, კონგო) გასვლის შემდეგ მათ აფრიკის თასის მფლობელი ეგვიპტელებიც დაამარცხეს, თუმცა ფრაიბურგელმა სელიმიმ და Kº-ამ კამერუნელებს ვერაფერი მოუხერხა.

მუსტაფა ჰაჯი, კუფური, ლასელიმი იმიტომ ვახსენეთ, რომ „ევროპელი ლეგიონერები ჩემპიონატზე ამინდს ქმნიდნენ. არც არის გასაკვირი, აბა სად „რეალი", „არსენალი", „ჩელსი" და სად აფრიკის „ბორჩალო" კლუბები. თუმცა, გამონაკლისებიც იყო. მაგალითად, საუდის არაბეთის „ალ დაშის" ნიგერიელი თავდამსხმელი სანდი აგაჰოვა თავისი ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი გახდა (3 გოლი). მასთან ერთად შეიძლება დავასახელოთ სამხრეთაფრიკელი სიაბონგა ნიმვეტე, რომელიც ადგილობრივ კლუბში თამაშობს.

ასეა თუ ისე, აფრიკის თასს ვარსკვლავები არ აკლდა.

ჩემპიონატის № 1 ფავორიტი ნიგერიელები ხომ ჩვეულად „სპექტაკლებს" დგამდნენ, მაგრამ „სუპერარწივებს" გუნდური შეთამაშება აშკარად აკლდათ. ბაბაიაროს, ფინიდის, ოკოჩას, იკპებას, ბაბანგიდას და „შავი კონტინენტის" უძლიერეს ფეხბურთელს ნვანკვო კანუს ინდივიდუალურ ოსტატობას ვერავინ დაუწუნებს, მაგრამ ეს მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი.

საბოლოოდ, ფინალში ნიგერია და კამერუნი გავიდნენ. ნახევარფინალურ მატჩებში ორივემ იოლ გამარჯვებას მიაღწია. ფინალი კი მართლაც კულმინაცია იყო. „მოუთვინიერებელმა ლომებმა" პირველი ტაიმის შუაწელში ორი გოლის გატანა მოახერხეს, თუმცა მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრებისათვის ორი წუთი დასჭირდათ მხოლოდ. თითქოს, კამერუნიც უნდა გატეხილიყო, მაგრამ პირიქით კი მოხდა. დარჩენილ ძირითად დროსა და დამატებით 30 წუთში როჟე მილას შთამომავლებმა სამჯერ (ეტო, ო, ქობი, მბომა) მოახვედრეს ბურთი მეტოქის კარის ძელს. თავის მხრივ, არც ნიგერიელები იყვნენ უქმად. დადგა მატჩის შემდგომი პენალტების ჯერი. ამ „ლატარეაში" კი უფრო ძლიერნი კამერუნელები აღმოჩნდნენ. (4-3). აღსანიშნავია, რომ ნიგერიელთა „უიღბლო პენალტისტი" აღმოჩნდა ნვანკვო კანუ.

„მოუთვინიერებელი ლომები" მესამედ გახდნენ აფრიკის თასის მფლობელები. მათი წარმატება მართლაც დამსახურებულია. კამერუნელებმა მატჩები მაღალ დონეზე ჩაატარეს და თუკი ვინმე ნიგერიელების აქციებს უფრო მაღლა აყენებდა, ეს ალბათ მასპინძლობის ფაქტორი გახლდათ, რადგან „ლომები" არანაკლებ ძლიერები იყვნენ. სონგის („ლივერპული"), ფოეს („ვესტ ჰემი"), ქერემის და ეტოს (ორივე — „რეალი"), მბომას („კალიარი") ევროპულ არენაზე ურიგო სახელი როდი აქვთ.

კამერუნელებმა, რომლებმაც 1990 წელს როჟე მილას მზეობის დროს არნახულ წარმატებებს მიაღწიეს, მას შემდეგ დიდი გამარჯვებები აღარ ჩაუწერიათ. და აი, „მოუთვინიერებელმა ლომებმა" ფაფარი აიშალეს.

ილია ნანობაშვილი

ევროპული ჩემპიონატები

გერმანია • XX ტური

ბორუსია — ულმი 1-1

გოლები: ჰერლიხი, 21 (1-0). ბოდოგი, 60 (1-1).

არმინია — კაიზერსლაუტერნი 1-2

გოლები: ვაისენბერგერი, 36 (1-0). ჰ. კოხი, 38 (1-1), ბუკი, 89 (1-2).

ვერდერი — ჰერტა 4-1

გოლები: ტრარესი, 8 (1-0), ფ. ბაუმანი, 17 (2-0), აილტსი, 21 (3-0), ალექს ალვეში, 51 (3-1), აილტონი, 78 (4-1).

დუისბურგი — აინტრახტი 2-3

გოლები: სობოციკი, 19 (0-1), სობოციკი, 27 (0-2). რაისი, 45 (1-2). გებჰარიტი, 89 (1-3). რაისი, 90 (2-3).

ჰანზა — ვოლფსბურგი 1-1

გოლები: ბრანდი, 24 (1-0) სებეშენი 66 (1-1).

ბაიერი — შტუტგარტი 1-0

გოლები: პაულო რინკი, 69.

უნტერჰახინგი — ბაიერნი 0-2

გოლები: პაულო, სერჟიო, 72. შოლი, 90.

ჰამბურგი — შალკე 3-1

მიუნხენი — ფრაიბურგი 3-1

გოლები: ზელიჩი, 17 (1-0). კოლი, 21 (1-1). ჰესლერი, 66 (2-1), გოლცი, 70- საჯ. კარში (3-1).

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბაიერნი	20	13	4	3	39-14	43
ბაიერი	20	11	7	2	34-22	40
ჰამბურგი	20	10	8	2	45-21	38
ვერდერი	20	9	5	6	41-29	32
მიუნხენ 1860	20	9	5	6	32-27	32
კაიზერსლაუტ.	20	9	3	8	26-33	30
ბორუსია	20	7	8	5	25-16	29
ჰერტა	20	7	7	6	26-32	28
ვოლფსბურგი	20	7	7	6	26-32	28
შალკე	20	6	9	5	27-25	27
შტუტგარტი	20	8	3	9	23-25	27
ფრაიბურგი	20	6	5	9	27-28	23
ულმი	20	6	5	9	23-28	23
უნტერჰასინგი	20	6	5	9	19-24	23
ჰანზა	20	5	7	8	26-39	22
აინტრახტი	20	5	2	13	22-30	17
დუისბურგი	20	3	7	1	22-36	16
არმინია	20	2	5	13	15-37	11

ბომბარდირები: სანდი („შალკე") — 11; სელიმი („ფრაიბურგი"), აილტონი („ვერდერი"), იებოა („ჰამბურგი") — 9.

ინგლისი • XXV ტური

ნიუკასლი — მანჩესტერი 3-0

გოლები: ფერგიუსონი, 26. შირერი, 76, შირერი 86.

ლიდსი — ტოტენჰემი 1-0

გოლი: კიუელი, 23.

შეფილდი — საუთჰემპტონი 0-1

გოლი: ტესემი, 26.

უოტფორდი — ლესტერი 1-1

გოლები: ელიოტი, 39 (0-1). ვოუტერი, 47 (1-1).

ვესტ ჰემი — ბრედფორდი 5-4

გოლები: უინდესი, 30 (0-1). სინკლერი, 35 (1-1). მონკური, 43 (2-1). ბიგრი, 45-პენ (2-2). ლორენსი, 47 (2-3). ლორენსი, 51 (2-4). დი კანიო, 65-პენ (3-4). კოული, 70 (4-4). ლამპარდი, 83 (5-4).

ჩელსი — უიმბლდონი 3-1

გოლები: ლუნდი, 73 (0-1). პოიეტი, 79 (1-1). ვეა, 79 (2-1). მორისი, 90 (3-1).

ქოვენთრი — სანდერლენდი 3-2

გოლები: კინი, 2 (1-0), ჰაჯი, 13 (2-0). რუსელი, 18 (3-0), ფილიპსი, 57 (3-1). რაე, 88 (3-2).

ევერტონი — დერბი 2-1

გოლები: მური, 24 (1-0), ბოლი, 45-პენ (2-0), ნიმნი, 59 (2-1).

არსენალი — ლივერპული 0-1

გოლი: კამარა, 18.

ბირჰოფი

მანჩესტერი	24	16	5	3	56-31	53
ლიდსი	24	16	2	6	39-28	50
ლივერპული	25	14	5	6	38-21	47
არსენალი	25	13	5	7	43-26	44
ჩელსი	25	12	7	6	35-23	43
სანდერლენდი	25	11	6	8	41-36	39
ევერტონი	25	9	9	7	42-35	36
ტოტენჰემი	25	10	5	10	34-29	35
ვესტ ჰემი	24	9	8	7	34-31	35
ლესტერი	25	10	5	10	35-36	35
ასტონ ვილა	24	9	7	8	26-23	34
ქოვენთრი	24	8	8	8	35-29	32
ნიუკასლი	25	8	7	10	44-41	31
საუთჰემპტონი	24	8	5	11	29-38	29
უიმბლდონი	25	6	10	9	35-43	28
მიდლსბრო	23	8	4	11	25-33	28
დერბი	25	6	6	13	27-38	24
ბრედფორდი	25	6	6	13	25-41	24
შეფილდი	25	4	5	16	23-51	17
უოტფორდი	25	4	3	18	22-55	15

ბომბარდირები: ფილიპსი („სანდერლენდი"). 22. შირერი („ნიუკასლი"). 16; კოული („მანჩესტერი"); 15. ბრიჯისი („ლიდსი"); კემპბელი („ევერტონი"), დი კანიო („ვესტ ჰემი") — 12; იორკი („მანჩესტერი"), რობი კინი („ქოვენთრი") — 11.

იტალია • XXI ტური

ბარი — ვერონა 1-1

გოლები: მორფეო, 39 (0-1). ნეკრუზი, 44 (1-1).

ბოლონია — მილანი 2-3

გოლები: გატუზო, 32 (0-1), შევჩენკო, 49 (0-2), ბირჰოფი, 58 (0-3), ინგესონი, 59 (1-3). ერიბერტო, 61 (2-3).

ვენეცია — კალიარი 3-0

გოლები: განცი, 47-პენ. განცი, 56. ორლანდინი, 88.

იუვენტუსი — ლეჩე 1-0

გოლი: ზიდანი, 26.

გაძევება: ტაკინარდი, 44 (ი).

პიაჩენცა — რეჯინა 0-0

პერუჯა — რომა 2-2

გოლები: ნაკატა, 24 (0-1). მონტელა, 42-პენ. (0-2), ოლივე, 54 (1-2). ოლივე, 82 (2-2).

ინტერი — ტორინო 1-1

გოლები: მენდესი, 20 (0-1). ვიერი, 31 (1-1).

ფიორენტინა — უდინეზე 1-1

გოლები: იორგენსენი, 62 (0-1). ბატისტუტა, 71 (1-1).

ლაციო — პარმა 0-0

იუვენტუსი	21	12	8	1	27-10	44
ლაციო	21	12	7	2	40-19	43
მილანი	21	11	8	2	46-27	41
რომა	21	11	6	4	44-23	39
ინტერი	21	11	4	6	38-19	37
პარმა	21	9	7	5	31-22	34
უდინეზე	21	8	6	7	33-29	30
ფიორენტინა	21	6	9	6	22-24	27
ბარი	21	7	6	8	25-29	27
ლეჩე	21	7	6	8	21-28	27
ბოლონია	21	7	5	9	18-22	26
პერუჯა	21	7	3	11	21-39	24
ტორინო	21	5	7	9	21-29	22
რეჯინა	21	4	9	8	19-28	21
ვენეცია	21	5	4	12	20-35	19
ვერონა	21	4	7	10	18-31	18
კალიარი	21	2	9	10	19-33	15
პიაჩენცა	21	3	6	12	11-25	15

ბომბარდირები: შევჩენკო („მილანი") — 16; კრესპო („პარმა") — 13; მონტელა („რომა"), ბატისტუტა (ფიორენტინა") — 12.

ესპანეთი • XXIV ტური

რეალი — მალაგა 1-0

გოლი: სარატე, 49.

ვალიადოლიდი — ვალენსია 0-0

ატლეტიკო — მალიორკა 1-1

გოლები: დიეგო ტრისტანი, 22 (0-1). დიეგო ტრისტანი, 65 საჯ. კარში (1-1)

სელტა — სოსიედადი 4-1

გოლები: დე პაულა, 22 (0-1). მოსტოვოი, 63 (1-1). ფერნანდესი, 67 (2-1). გუსტავო ლოპესი, 76 (3-1). გუსტავო ლოპესი, 90 (4-1).

სარაგოსა — რაიო ვალეკანო 1-1

გოლები: იორდი, 14 (1-0), კარილერო 82 (1-1).

რასინგი — ატლეტიკო 2-1

გოლები: რობერტო, 6 (0-1). ვივარ დორადო, 34 (1-1). ვივარ დორადო, 51 (2-1).

ესპანიოლი — სევილია 2-2

გოლები: ტამუდო, 3 (1-0), ცარტასი, 29-პენ. (1-1). ტამუდო, 67 (2-1). ცარტასი, 85-პენ. (2-2).

ალავესი — ოვიედო 1-0

გოლი: დესიო, 20

ბეტისი — ბარსელონა 2-1

გოლები: იტო, 7 (1-0), ალფონსო, 78 (2-0). კლუივერტი, 86 (2-1).

ნუმანსია — დეპორტივო 1-0

გოლი: როხო, 50.

დეპორტივო	24	13	4	7	42-31	43
სარაგოსა	24	10	10	4	41-25	40
ბარსელონა	24	11	5	8	44-31	38
სელტა	24	12	2	10	35-30	38
ალავესი	24	11	5	8	27-25	38
რეალი	23	9	9	5	39-37	36
ატლეტიკი	24	9	9	6	35-35	36
ვალენსია	24	9	7	8	32-25	34
რაიო ვალეკ.	24	10	4	10	33-33	34
ნუმანსია	24	9	7	8	33-36	34
მალიორკა	24	9	6	9	32-32	33
ბეტისი	24	9	3	12	23-38	30
რასინგი	24	7	8	9	37-35	29
მალაგა	24	7	8	9	33-33	29
ატლეტიკო	24	8	5	11	37-39	29
ვალიადოლ.	23	7	8	8	22-25	29
ესპანიოლი	24	7	7	10	34-36	28
ოვიედო	24	7	6	11	24-38	27
სოსიედადი	24	5	10	9	26-33	25
სევილია	24	4	9	11	26-38	21

ბომბარდირები: სალვა ბალესტა („რასინგი") — 21; ჰასელბანკი („ატლეტიკო") — 20; მილოშევიჩი („სარაგოსა") — 18; კატანია („მალაგა") — 15.

ელოდეთ „კივის“ დაბრუნებას

ახალი ზელანდიის ეროვნული გუნდი პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად 1982 წელს გამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ესპანეთში. მას შემდეგ დაიწყო უინტონ რუფერის ევროპული კარიერა. ახლა კი, ოკეანიის „საუკუნის ფეხბურთელად“ დასახელებული რუფერი სამშობლოში ცხოვრობს და მოღვაწეობს: ეხმარება ქვეყნის ერთადერთ პროფესიულ საფეხბურთო გუნდს, გვერდში უდგას ბავშვთა ფეხბურთს და მეტად აქტიური ქრისტიანია.

...სამუშაო მაგიდასთან ზურგით მჯდომი რუფერი სრულიად მოწყვეტილია გაწამაწიას, არაფერს ძალუძს ხალხთან მისი მშვიდი, გულწრფელი, ძალადაუტანებელი მიდგომა გაასხვაფეროს და ისიც მეგობრული ღიმილით დასძენს: „უბრალოდ, სიამოვნებას ვიღებ დროის ამ მონაკვეთით“. ყოფილ ექსტრა-კლასის ფორვარდს, ოკეანიის „საუკუნის ფეხბურთელს“ ეს პერიოდი მაშინ დაუდგა, როცა ევროპული კარიერის შემდეგ შინ, ახალ ზელანდიაში დაბრუნდა. პროფესიონალი ფეხბურთელის სტრესულ ცხოვრებას ბოლო მოეღო, რამაც ბევრი რამ კი შეცვალა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუფერი უსაქმური, ზარმაცი ან თუნდაც ზერელედ მომუშავე კაცი შეიქნა — ის ახლა ფრონტის ცხელ ხაზზე დასაბრუნებლად ემზადება.

... მისი კერა ოკლენდში, არაფეშენებლურ რაიონში, ორდინარულ გარემოში, ბოსტონ როუდის ნომერ 10-შია, რაც მის სტილს, როგორც თავმდაბალ პერსონას, სავსებით შეეფერება და უხდება. იქ იგი ყოველდღე რამდენიმე საათით ყოვნდება, რათა თავის ახალ ცხოვრებას, უბრალოდ რომ ვთქვათ, მიხედოს. „ქრისტიანული ცხოვრების ცენტრის“ შენობის პირველ სართულზე განლაგებულია მისი ოფისი — დიდი ოთახის ერთი კუთხე. რუფერი თავგამოდებული მორწმუნე გახლავთ და აქტიური წევრიც ქრისტიანული კომუნისა, რომელმაც გამოუყო მას ეს ფართობი და აღჭურვილობა.

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ კი, მისი ცხოვრება გაცილებით უფრო მჩქეფარე იყო. „კივი“ — ასე ეძახდნენ მას ევროპაში და ამ ეგზოტიკური ხილის სეხნია, ათლეტური ახალზელანდიელი სისხლს უშრობდა მცველებს. ბუნდესლიგის ბრემენის „ვერდერში“ ის გახდა გერმანიის ჩემპიონი (1993 წ.), თასის ორგზის მფლობელი (1991 და 1994) და აგრეთვე ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების გამარჯვებული (1992). „მისი კალიბრის მოთამაშეები ბევრნი არ არიან“ — ამბობდა ბრემენელთა დამრიგებელი ოტო რეჰაგელი, რომელიც დაეხმარა რუფერს მსოფლიო დონის მოთამაშედ ჩამოყალიბებულიყო „ვერდერში“ და, როცა რეჰაგელმა 1997 წელს მეორე ბუნდესლიგის „კაიზერსლაუტერნი“ ჩაიბარა, კვლავ უხმო რუფერს ჯეი-ლიგიდან. გუნდმა იმავე სეზონში მოიპოვა გერმანიის უმაღლესი დივიზიონის საგზური, ხოლო 33 წლის რუფერმა სათამაშო კარიერის დამთავრება გადაწყვიტა. „არ შეიძლებოდა უკეთესი მომენტი მქონოდა პენსიაზე გასასვლელად“ — დასძენს რუფერი.


უინტონ რუფერი თავის რელიგიურ ოფისში

„კივიზე“ ისიც უნდა ითქვას, რომ მან ევროპის საკლუბო ტურნირებში 30 გოლი გაიტანა, რითაც ოც საუკეთესო სნაიპერთა სიაში მოხვდა გარი ლინეკერის, პაოლო როსის, რუუდ გულიტისა და სხვა დიდთა გასწვრივ. ახლა, რუფერი თავის გამოცდილებას ახალი ზელანდიის ფეხბურთისათვის იყენებს.

რუფერების ოჯახი

რუფერის ზურგზე გადაიარა უნიკალურმა პროექტმა მსოფლიო ფეხბურთში, რომლის სახელია „ოკლენდ კინგზი“. ეს ჯერჯერობით ერთადერთი პროფესიური საფეხბურთო კლუბია ახალ ზელანდიაში და სპეციალური შეთანხმების წყალობით ავსტრალიის შედარებით ძლიერ ჩემპიონატში გამოდის. 1997/98 წლების სეზონში „ოკლენდ კინგზი“ ავსტრალიის ლიგის გამარჯვებული გახდა. დღესდღეობით ამ კლუბში რუფერის დიდი მეცადინეობით ბრაზილიელი და ჩილელი ლეგიონერებიც თამაშობენ. პროექტს მნიშვნელოვან ფულად დახმარებას უწევს ახალი ზელანდიის 1982 წლის ნაკრების კიდევ ერთი წევრი, ახლა უკვე ბიზნესმენი კრის ტერნერი.

უინტონ რუფერი ახალი ზელანდიის ფეხბურთის ეროვნული ასოციაციის თანამშრომელიცაა. ის სათავეში უდგას ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროგრამას. რუფერი დიდადაა მოწადინებული ტალანტების აღმოჩენით. მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შარშან ნოემბერში ახალ ზელანდიაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი 17 წლამდელთა შორის. „ახალგაზრდა ფეხბურთელების ჩამოყალიბებაში მთავარი მიმართულებაა ბურთის ფლობის ოსტატობის დაუფლება. მატჩის ყურებისას ყველას სურს იხილოს არტისტები და არა შემსისმჭრელები“ — ამბობს რუფერი. ბავშვთა ფეხბურთის საკითხებზე ის ფიფასთანაც თანამშრომლობს ისევე როგორც პელე, ბეკენბაუერი, ბ. ჩარლტონი, პლატინი, ჯორჯ ვეა და უგო სანჩესი. ფეხბურთზე შეყვარებული რუფერი ახალზელანდიელი ბავშვების ხშირი სტუმარია. მის განსაკუთრებულ ინტერესს კი ოკლენდის შედარებით ღარიბი უბნების პატარა მობურთალები იმსახურებენ. თვით რუფერს ბავშვობაში მომჭირნეობა არ უგრძვნია. მამამისი შვეიცარიელი გახლდათ, რომელმაც 1956 წელს გადაწყვიტა ახალ ზელანდიაში ემიგრირება. რაგბის ქვეყანაში უინტონს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა შთამბეჭდავი კარიერის შექმნის საშუალება და ამიტომაც 18 წლისამ (ესპანეთი — 82-ის შემდეგ) გააფორმა პირველი პროფესიონალური კონტრაქტი ინგლისურ „ნორვიჩ სიტისთან“. შემდეგ მამულეთს მიაშურა: თამაშობდა „ციურიხში“, „არაუში“ და „გრასჰოპერსში“ (სანამ ბრემენის „ვერდერში“ ამოჰყოფდა თავს). მიუხედავად იმისა რომ რუფერმა მთელი თავისი ჯეელობა ევროპაში გაატარა, მეუღლედ ავსტრალიელი არჩია — მომხიბვლელმა, ქერათმიანმა ლიზამ მას ორი ვაჟი აჩუქა.

კარგი რამ არის სანიმუშო მეოჯახეობა, ღვთისმოშიშობა, ბავშვებზე ზრუნვა... მაგრამ უინტონ რუფერს თურმე მჩქეფარე ცხოვრებაც მოსწყურებია — ის მეორე ევროპული კარიერისთვის ემზადება. „რეალურად მინდა დავიწყო მწვრთნელის კარიერა ევროპაში. მსურს დავბრუნდე იქ და გავხდე ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, როგორც მწვრთნელი“ — რუფერის ეს სიტყვებიც გულწრფელი, ძალდაუტანებელია.

მიხაელ ეშელმი,
("FIFA MFGAZINE").
თარგმნა
დათო თავართქილაძემ

ნბა

„ოლ სტარი“ – 2000

როგორც ცნობილია, ყოველწლიურად ამერიკაში იმართება მატჩი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კონფერენციებს შორის. გულშემატკივრები ირჩევენ სასტარტო შემადგენლობებს და ხმების უმრავლესობით გუნდების დაკომპლექტება შემდეგნაირია:

აღმოსავლეთის კონფერენცია: *უკანა ხაზი* — ალენ აივერსონი (ფილადელფია) და ედი ჯონსი (შარლოტი); *ფორვარდები:* ვინს კარტერი (ტორონტო) და გრანტ ჰილი (დეტროიტი); *ცენტრი:* ალონზო მურნინგი (მაიამი).

დასავლეთის კონფერენცია: *უკანა ხაზი* — ჯეისონ კიდი (ფინიქსი) და კობი ბრაიანტი (ლეიკერსი); *ფორვარდები:* კევინ გარნეტი (მინესოტა) და ტიმ დანკანი (სან-ანტონიო); *ცენტრი:* შაკილ ო'ნილი (ლეიკერსი)

სათადარიგონი:

აღმოსავლეთი — რეი ალენი (მილუოკი); ალან ჰიუსტონი (ნიუ-იორკი); რეჯი მილერი (ინდიანა); ჯერი სტეკჰაუზი (დეტროიტი); დეილი დევისი (ინდიანა); გლენ რობინსონი (მილუოკი) და დიკემბე მუტომბო (ატლანტა).

დასავლეთის კონფერენცია: მაიკლ ფინლი (დალასი); გერი პეიტონი (სიეტლი); ჯონ სტოქტონი (იუტა); კარლ მელოუნი (იუტა); რაშიდ უოლესი (პორტლენდი); კრის ვებერი (საკრამენტო) და დევიდ რობინსონი (სან-ანტონიო).

გუშინდელ შეხვედრაში უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ დასავლეთის კონფერენციის კალათბურთელები, რომლებმაც გაიმარჯვეს 137:126.

კალათბურთი • ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. (V ტური)

E ჯგუფი

ალბა (გერმანია) — ცსკა (რუსეთი) 81:76; ჟალგირისი (ლიტვა) — ბენეტონი (იტალია) 82:75; თოფაში (თურქეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) 78:71.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ბარსელონა	15	12	3	1117-1024.	27
ბენეტონი	15	9	6	1141-1113	24
ალბა	15	8	7	1107-1120	23
ცსკა	15	8	7	1140-1118	23
თოფაში	15	7	8	1116-1105	22
ჟალგირისი	15	4	11	1084-1124	19

მომდევნო ტური *17 თებერვალს:* ბარსელონა — ალბა; ბენეტონი — თოფაში; ცსკა — ჟალგირისი.

F ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — რეალი (ესპანეთი) 71:96; პაოკი (საბერძნეთი) — ოლიმპია (სლოვენია) 70:74; შოლე (საფრანგეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 81:68

პანათინაიკოსი	15	13	2	1175-1009	28
ოლიმპია	15	9	6	1142-1128	24
რეალი	15	9	6	1141-1108	24
პაოკი	15	6	9	1065-1043	21
შოლე	15	3	12	975-1100	18
ცრვენა ზვეზდა	15	2	13	987-1198	17

17 თებერვალი: პანათინაიკოსი — პაოკი; ოლიმპია — ცრვენა ზვეზდა; რეალი — შოლე.

G ჯგუფი

ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 82:70; კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი) 72:62; პო ორტეზი (საფრანგეთი) — მაკაბი (ისრაელი) 57:62.

მაკაბი	15	11	4	1116-1003	26
ვილერბანი	15	11	4	1050-973	26
ოლიმპიაკოსი	15	9	6	1040-972	24
ბუდუჩნოსტი	15	6	9	1081-1083	21
კახა სან ფერნან.	15	6	9	1024-1041	21
პოორტეზი	15	4	11	1005-1087	19

17 თებერვალი: ვილერბანი — ბუდუჩნოსტი; მაკაბი — კახა სან ფერნანდო; ოლიმპიაკოსი — პო ორტეზი.

H ჯგუფი

ულქერი (თურქეთი) — ციბონა (ხორვატია) 71:72; ვარეზე (იტალია) — ეფესი პილზენი (თურქეთი) 76:79; პივოვარნა (სლოვენია) — ფორტიტუდო (იტალია) 77:78.

ეფესი პილზენი	15	10	5	1126-1071	25
ფორტიტუდო	15	9	6	1107-1063	24
ციბონა	15	9	6	1113-1124	24
ულქერი	15	8	7	1130-1140	23
ვარეზე	15	5	10	1104-1149	20
პივოვარნა	15	2	13	1067-1226	17

17 თებერვალი: ეფესი — ულქერი; ფორტიტუდო — ვარეზე; ციბონა — პივოვარნა.

მოამზადა
ვეფხვია ჯალაღონიამ

ამბები NEWS ამბები NEWS

გუცაევს ანჩაბაძეც დასჭირდა

როგორც ვლადიკავკაზის „ალანიის“ მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ გუცაევმა განაცხადა, მისი კლუბი ამჟამად 80 პროცენტით არის დაკომპლექტებული, იგი 28 თებერვლამდე ლარნაკის (კვიპროსი) სიახლოვეს მოემზადება, სეზონში კი მკაცრი, ხისტი ფეხბურთი უნდა ითამაშოს.

გუცაევის თქმით, მის კლუბს, შესაძლოა, თბილისის დინამოელი გიორგი ანჩაბაძეც შეუერთდეს.

ნორვეგიელები დიდ პატივში არიან

ნორვეგიელები დიდ პატივში არიან ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ინგლისში. ამჟამად ძნელი დასასახელებელია რომელიმე ინგლისური კლუბი, ნორვეგიელი მოთამაშე რომ არა ჰყავდეს.

და აი ახალი ცნობაც: „მიოლდეს“ თავდამსხმელი ანდრეას ლუნდი, რომელშიც 3,7 მილიონი დოლარი გადაიხადეს, ამიერიდან ლონდონის „უიმბლდონში“ გამოვა. ამავე ინგლისურ კლუბში უფრო ადრე გადავიდა „მიოლდეს“ კაპიტანი ტრუნდ ანდერსენი, ხოლო შემდეგ ნახევარმცველი იო ტესემი „საუთჰემპტონის“ მოთამაშე გახდა.

ჯონ ბარნსს „სელტიკი“ დაატოვებინეს

ახლო წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, ახლა კი მწვრთნელ ჯონ ბარნსს გლაზგოს „სელტიკის“ დატოვება მოუხდა მას შემდეგ, რაც სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში გუნდმა ორი მატჩი წააგო და თანაც ორივე საკუთარ მინდორზე.

ორი კვირის წინ „სელტიკის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად უარჰყო ბარნსთან კონტრაქტის ადრე შეწყვეტის შესაძლებლობა, მაგრამ მდგომარეობა შეცვალა ჯერ „ჰარტ ოფ მიდლოტიენთან“, შემდეგ კი „ინვერნეს კალედონიან თაუნთან“ განცდილმა მარცხმა.

ბრაიან ლაუდრუპს ევროპის პირველობაზე თამაში არა სურს

დანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, შვედმა ბუ იუჰანსონმა არაერთგზის სთხოვა ამსტერდამის „აიაქსში“ მოთამაშე. გამოჩენილ თავდამსხმელ ბრაიან ლაუდრუპს გაითვალისწინოს გუნდის ინტერესები და ევროპის პირველობაზე მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ უმცროსი ლაუდრუპი კვლავინდებურად უარზეა.

— მას დავურეკე, ვთხოვე, რომ მინდა თავი მოვუყარო ყველა უძლიერესს, მაგრამ იგი აცხადებს, რომ არ აპირებს ნაკრებში დაბრუნებას.

პუსაინოვი ყველაფერში გაამართლეს

ცნობილი რუსი მსაჯი სერგეი ჰუსაინოვი, რომელსაც ისრაელში სკანდალის შემდეგ, როცა მას მატჩის არბიტრობის საშუალება არ მისცეს, რუსეთშიც მკაცრად დაისაჯა. შეიძლებოდა ისიც გვეფიქრა, რომ მისი სამსაჯო კარიერა საერთოდ დასრულდა, მაგრამ ახლა საქმე შემოტრიალდა. რუსეთის ფეხბურთის ფედერაციამ სათანადო შესწავლის შემდეგ ჰუსაინოვი სრულიად გაამართლა და ახლა მას ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის გენერალური დირექტორის პოსტი შესთავაზეს.

ციმბალარიც დაბრუნდა და პისარევიც

ოლეგ რომანცევს განრისხებამ გაუარა – ციმბალარი, რომელიც კარგა ხანს „სპარტაკში“ აღარ თამაშობდა და მისი გაყიდვის ნაირ-ნაირი ვარიანტებიც შეიქმნა (ხან თურქეთში გადადიოდა ხან ჩინეთში, ხანაც სამარის „კრილია სოვეტოვში“), ახლა გუნდში დააბრუნეს და სხვებთან ერთად გადის წვრთნას.

მეორე სიახლე – „სპარტაკს“ დაუბრუნდა თავდამსხმელი ნიკოლაი პისარევი, რომელიც შარშან მოსკოვის „დინამოში“ გამოდიოდა.

დამნაშავეებს ეძებენ

„ბარსელონას“ მთავარ მწვრთნელ ლუის ვან გაალს მძიმე დღეები დაუდგა. „ალავესთან“ საკუთარ მინდორზე მოულოდნელი დამარცხების შემდეგ — 0-1 ამ მარცხში მხოლოდდამხოლოდ მოთამაშეთა ჯგუფი დაადანაშაულა.

წაგების შემდგომ დღეს, სანამ ვარჯიში დაიწყებოდა, ვან გაალმა ყვირილი დაუწყო მოთამაშეებს, რომლებიც დაადანაშაულა მოტივაციის უქონლობაში, კონცენტრაციის ნაკლებობაში, დაცვაში სრულიად უნიათო მოქმედებაში, ბურთის ხშირ დაკარგვასა და პრესინგზე უარის თქმაში, თუმცა ვან გაალმა თამაშის წინ მისი გატარება ურჩია. 25 წუთს მწვრთნელი მოთამაშეებს ძალიან მკაცრად აკრიტიკებდა, თუმცა კონკრეტულად არავინ დაუსახელებია.

მწვრთნელს მიემხრნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც მის ფავორიტებად ითვლებიან, (ასეთებად მიაჩნიათ პატრიკ კლუივერტი, ბაუდევაინ ზენდენი, ფილიპ კოკუ, იარი ლიტმანენი, ლუიშ ფიგუ, ვინსტონ ბოგარდე, კარლოს პუიოლი). აი, რა თქვა პატრიკ კლუივერტმა: „დამნაშავენი ვართ, რაზეა ლაპარაკი? მაგრამ იმედი მაქვს, რომ გულშემატკივრებმა სტვენა კი არ უნდა დაგვიწყონ, არამედ მხარი დაგვიჭირონ“. ფილიპ კოკუ: „ისეთ უნებისყოფოებად გამოვიყურებოდით, რომ თითქოს არც ერთ ჩვენგანს არ უნდოდა თამაში. მხოლოდ ერთმა ჩავიმ გაიხსენა ძველთაძველი საფეხბურთო ჭეშმარიტება, რომ „დამნაშავენი ყველანი არიან, როგორც მოთამაშეები, ისე მწვრთნელიც“

ამასობაში „ბარსელონას“ ხელმძღვანელობაში განხეთქილებაა. დირექტორების ნაწილს ესმის, რომ კლუბის პრეზიდენტი ნუნიესი არავითარ შემთხვევაში არ მოხსნის ვან გაალს. ამიტომ ისინი პრეზიდენტსაც აკრიტიკებენ და მწვრთნელსაც. რაც შეეხება „ბარსელონას“ გულშემატკივრებს, ისინი ვან გაალს ძალიან უარყოფითად ექცევიან და თამაშის შემდეგ ძლიერი სტვენითაც გააცილეს.

სამი ქულის უპირატესობით

ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა

ინგლისის ჩემპიონატზე 26 თებერვლამდე მცირე შესვენებაა. ჯერ ასპარეზობის დამთავრებამდე, რა თქმა უნდა, უზარმაზარი დროა, მაგრამ უკვე შეიძლება ლაპარაკი, თუ მომავალ ჩემპიონზე არა (თუმცა ბევრი ექსპერტი ჩქარობს და მასაც უაპელაციოდ ასახელებს), ყოველ შემთხვევაში, იმ კლუბების ჯგუფზე, რომელსაც საპრიზო ადგილების პრეტენზია აქვს.

ზოგი პროგნოზი უკვე გამართლდა. პრემიერ-ლიგის დებიუტანტი „სანდერლენდი" გასაგები მიზეზების გამო თანდათან იხევს უკან და მრავალნაცად ფავორიტებს უთმობს ადგილს. მისი ერთ-ერთი ბოლო მიღწევა შეიძლება მეტად საბრძოლო ფრე იყო საკუთარ „სტადიუმ ოფ ლაიტზე" ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედთან". საინტერესოა, რომ ამ მატჩს „სანდერლენდი" შესანიშნავ სნაიპერ უკევინ ფილიპსოდ ატარებდა, მაგრამ ძალიან კარგად ითამაშა ახოვანმა ნაილ კუინმა და საბოლოო ანგარიშით მაინც ჩემპიონი გადაურჩა წაგებას. აღინიშნა „სანდერლენდის" დანიელი მეკარის თომას სორენსენის კარგი თამაშიც.

„მანჩესტერ იუნაიტედს" ბრაზილიაში გამგზავრების გამო რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუხდა, უიღბლოდ კი თამაშობდა, მაგრამ ოკეანის გაღმა მყოფმა, ინგლისიდან მაინც სასიამოვნო ამბები შეიტყო. საქმე ის არის, რომ XXI ტურში მისმა ოთხმა მთავარმა კონკურენტებმა „ლიდს იუნაიტედმა", „არსენალმა", „სანდერლენდმა" და „ლივერპულმა" მოაგროვეს, როგორ ფიქრობთ, რამდენი? სულ თითო ქულა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩემპიონს ლიდერობის ხელთ ჩაგდება არ უნდა გასჭირვებოდა.

XXIII ტურში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ბრაზილიიდან დაბრუნებული „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრამ მუდმივ მეტოქესთან – ლონდონის „არსენალთან". მატჩის სანახავად მანჩესტერში 58 293 მაყურებელი მივიდა. შეხვედრის წინ ჩემპიონის შესაძლებლობებს უფრო მაღალ შეფასებას აძლევდნენ მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იგი შინ თამაშობდა. „არსენალის" მწვრთნელ არსენ ვენგერს მიაჩნდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" მთელი თვე ისვენებდა (ასე მიიჩნია ფრანგმა სპეციალისტმა მისი მონაწილეობა მსოფლიო ჩემპიონატში კლუბებს შორის!), „არსენალს" კი მეტად დაძაბული მატჩები ჰქონდა ინგლისის პირველობაზე და ერთბაშად ორ ინგლისურ თასზე. გარდა ამისა, ვენგერი იმასაც ნაღვლობდა, რომ ამ შეხვედრაში სხვადასხვა მიზეზის გამო არა ჰყავდა ტონი ადამსი, დენის ბერხკამპი, დავორ შუკერი, მარკ ოვერმარსი, ნვანკვო კანუ. რაც შეეხება ჩემპიონს, იგი თავისი უძლიერესი შემადგენლობით გამოდიოდა. ამის მიუხედავად „არსენალმა" ჩინებულად წარმართა მთელი შეხვედრა, საბოლოო შედეგით (1-1) კი უკმაყოფილო დარჩა, რადგან ახლა უკვე გაუჭირდება „მანჩესტერ იუნაიტედის" დაწევა.

XXIV ტურში „მანჩესტერ იუნაიტედი" შინ „ოლდ ტრაფორდზე" არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა „ქოვენთრი სიტისთან", მაგრამ გამარჯვებულებს არ სჯიან – 3-2. ინგლისელი მიმომხილველები ფიქრობენ, რომ გუნდის ლიდერ დევიდ ბეკჰემის სათამაშო კრიზისი გაჭიანურდა, მაგრამ ხომ უნდა დამთავრდეს. ლიდერს თავდასხმაში უამრავი გოლი გააქვს, ორზე მეტი ყოველ მატჩში. კვლავ სინქრონული მოქმედებით გამოირჩევა ენდი კოულისა და დუაიტ იორკის განთქმული „დუეტი", მაშინ კი, თუ რაღაცა მიზეზით ისინი ვერაფერს ხდებიან, მინდორზე უხმობენ ხოლმე „ჯადოსნური კვერთხის" მფლობელ ტედი შერინგემს, რომელმაც უკვე არაერთხელ იხსნა კლუბი რთულ სიტუაციაში.

„ლიდს იუნაიტედი" მანამდე ითვლებოდა „მანჩესტერ იუნაიტედის", ასე თუ ისე, სერიოზულ მეტოქედ, სანამ მარცხი არ განიცადა „ლივერპულთან" – 1-3. საქმე ის არის, რომ დევიდ ო'ლირის გუნდს ამ შეხვედრის წინ საკმაოდ ოპტიმისტური განწყობილება უნდა ჰქონოდა. დაშავდა „ლივერპულის" ორივე სუპერფორვარდი: მაიკლ ოუენი და რობი ფაულერი. მათი შეცვლა, ცხადია, პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის მიუხედავად, „ლივერპულმა" მაინც მოახერხა გამარჯვება ძირითადად თავისი ლეგიონერების დიტმარ ჰამანისა (გერმანია) და პატრიკ ბერგერის (ჩეხეთი) წყალობით.

ახლა „ლიდსს" „მანჩესტერ იუნაიტედთან" კონკურენცია ხომ გაუჭირდება, და თანაც მეორე ადგილის შენარჩუნებისათვის ბრძოლაც მოუხდება იმავე „არსენალთან", „ლივერპულსა" და „ჩელსისთან". ამ კლუბების მდგომარეობა კიდევ ბევრჯერ შეიცვლება. „ჩელსიში" ერთი საინტერესო სიახლე ის გახლავთ, რომ კიდევ ერთხელ შეიცვალა ფუნქცია ჯანლუკა ვიალიმ და კვლავ მოთამაშე მწვრთნელი გახდა. ვიალის აზრით, „ჩელსის" წინა ხაზს, სადაც ძირითადად ძორლა და ფლო თამაშობენ, ნამდვილად სჭირდება გაძლიერება თუ დახმარება და ამიერიდან მატჩების გარკვეულ ნაწილში თვით მწვრთნელი მიიღებს მონაწილეობას. ძნელი სათქმელია, თუ რამდენად გამოადგება "ჩელსის" ეს გარემოება ჩემპიონობისთვის ბრძოლაში.

მეტად მძაფრ ბრძოლაში ჩაიარა XXV ტურმა, რომლის მატჩების უმეტესობა შაბათს, 12 თებერვალს ჩატარდა. ის, რომ ბობი რობსონმა იცის, რა მოუხერხოს ნებიმიერ მეტოქეს, კიდევ ერთხელ დადასტურდა და თანაც თვით „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრაში. აქამდე „ლიდსს" 23 მატჩში სულ 2 შეხვედრა ჰქონდა წაგებული, ახლა კი „ნიუკასლ იუნაიტედთან" სასტიკი მარცხი – 0-3 განიცადა. თამაშში მონაწილეობდა ქართველი ფეხბურთელი თემურ ქეცბაია, თავი კი „ნიუკასლის" „შტატიანმა" სნაიპერებმა გამოიჩინეს. ანგარიში დანკან ფერგიუსონმა გახსნა, რომლის მზადყოფნა ახლა აშკარად მაღალია. ამის შემდეგ თავისი სიტყვა (და თანაც ორჯერ!) ალან შირერმა თქვა. გავიხსენოთ ისიც, რომ სეზონის დასაწყისში ზოგი მიმომხილველი შირერს (ახლა მკრეხელობაც კია ამაზე ლაპარაკი) „ჩამოსაწერ ფეხბურთელად" თვლიდა. „ნიუკასლს" 31 ქულა აქვს, კარგა ხანია გასცდა სახიფათო ზონას და ახლა უკვე უეფას თასის საგზურის მოპოვებაზე ექნება პრეტენზია.

ამ მარცხის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს" (53 ქულა) კვლავ მიუახლოვდა „ლიდს იუნაიტედი", რომელმაც თავის მინდორზე შეძლო ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" დამარცხება – 1-0 და 50 ქულა დააგროვა. „ჩელსიმ", რომელიც 79-ე წუთამდე აგებდა შეხვედრას თანაქალაქელ „უიმბლდონთან" 0-1, დარჩენილ 11 წუთში სამი გოლი გაიტანა, ახლა 43 ქულა აქვს და ახალი იმედები ჩაესახა.

მაშ ასე, მცირე შესვენება 26 თებერვლამდე. „მანჩესტერ იუნაიტედს" კვლავ გასვლითი შეხვედრა აქვს, ამჯერად ლონდონში „უიმბლდონთან", რომელიც არც ისე შორსაა სახიფათო ჯგუფთან. იგივე ითქმის „მიდლსბროზე", რომელიც „ლიდს იუნაიტედს" მიიღებს, და „საუთჰემპტონზე", რომელიც მრისხანე „არსენალს" მასპინძლობს. საინტერესო უნდა გამოდგეს „ლივერპულის" შეხვედრა „ლესტერ სიტისთან", რომელსაც თითქოს არაფერი ემუქრება, მაგრამ უეფას თასი იზიდავს. წარმატებით წახალისებული „ჩელსი" კი უიმედო აუტსაიდერ „უოტფორდს" მიიღებს.

ბივი გამრეკელი

საზღვარგარეთის ფეხბურთი

„მილანის" სნაიპერთა კლუბი

„მილანის" კლუბთან კიდევ ერთი თავისებური „კლუბია", რომელშიც შედიან ის თავდამსხმელები, თუნდაც ერთხელ „სერია A"-ს საუკეთესო სნაიპერები რომ გახდნენ.

ვნახოთ, რას ფიქრობენ ისინი ფეხბურთზე.

ჟოზე ალტაფინი

ჟოზე ალტაფინი (მაცოლა), როგორც ცნობილია, ჯერ ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდა, შემდეგ კი „სკუადრა აძურაში" გადაინაცვლა. ამას წინათ იგი იტალიის ერთ-ერთი ტელეარხის სტუდიაში მიიწვიეს, „მილანისა" და „ბარის" მატჩზე სასაუბროდ. ალტაფინი, როგორც კი შევჩენკო თავის მორიგ „სლალომს" დაიწყებდა, მაშინვე ერთსა და იგივე ფრაზას იმეორებდა: „შევჩენკო – ეს მე ვარ", „შევჩენკო – ეს მე ვარ".

● *თქვენ სერიოზულად ლაპარაკობთ, სენიორ ჟოზე? ჰკითხა წამყვანმა*

— რა თქმა უნდა. იგი იმავეს აკეთებს, რასაც ადრე მე ვაკეთებდი. სისწრაფე, გამტანობა, ფიზიკური ძალა – ჩემს თავს ვცნობ ახალგაზრდობაში „მილანში" გამოსვლის პირველივე სეზონში (1958-59) 28 გოლი გავიტანე. გოლების გატანა მეოთხე ტურიდან დავიწყე. ახლა შევჩენკოსთან დაკავშირებით, რატომღაც ზიკოს ახსენებენ, თითქოს მას ეკუთვნის გოლების რეკორდი ლეგიონერებს შორის. მე? მე რატომღა მივიწყებენ?

● *თქვენ ხომ „ორიუნდი" (უცხოეთში დაბადებული იტალიელი) იყავით, სენიორ ჟოზე – შენიშნა წამყვანმა – თქვენი ორივე პაპა ხომ იტალიურ პროვინცია როვიგოდან იყო. ისე რომ, სადაური ლეგიონერი ხართ?*

— დიახ, დიახ, რა თქმა უნდა – ჟოზე ალტაფინი იძულებული გახდა დათანხმებოდა – მე ხომ იტალიის ნაკრებში ვთამაშობდი, თუმცა მანამდე ბრაზილიის ნაკრებშიც...

ამასობაში მატჩი დასასრულს მიუახლოვდა. როცა ანგარიში იყო 3-1, შევჩენკომ ბურთი მიიღო თავის ნახევარზე, ცრუ მოძრაობით სწრაფად გასცდა ყველას, ვინც კი გზაში შეხვდა და მეოთხე გოლი გაიტანა.

— ხომ ხედავთ, შევჩენკო მე ვარ! – კიდევ ერთხელ თქვა ალტაფინიმ – ეს პირდაპირ საოცარი ჭაბუკია.

პიეტრო პაოლო ვირდისი

1986-87 წლების ჩემპიონატში 17 გოლი გაიტანა.

იმის მიუხედავად, რომ ალტაფინი ჯიუტად ადარებს შევჩენკოს საკუთარ თავს, პრესა სხვა აზრისაა. იგი უკრაინელ ალტაფინის კი არა, უფრო ლეგენდარულ მარკო ვან ბასტენს ამსგავსებს.

რაც შეეხება თვით შევჩენკოსა და ვან ბასტენს, მათ საერთოდ არ უყვართ ამ თემაზე საუბარი. შევჩენკოს თქმით, ასეთ შედარებას საერთოდ არ აქვს აზრი, და რახან ასე სურთ ჟურნალისტებს, დეე თქვან, რაც უნდათ, ფანტაზიებს მისცენ თავი. ვან ბასტენმა კი საერთოდ ბოდიში მოიხადა: „მაპატიეთ, მაგრამ არასოდეს მინახავს შევჩენკოს თამაში".

რაღაც საოცარს ამბობს. განა მარკო ვან ბასტენი ისე ჩამოშორდა ფეხბურთს, რომ არც თამაშებს ესწრება და აღარც ტელევიზორს უყურებს?

რაც შეეხება სხვა სნაიპერებს, ისინი სულაც არ გაურბიან დისკუსიას. პიეტრო პაოლო ვირდისი ახლა 43 წლისაა, ამას წინათ მწვრთნელის პატენტი მიიღო, ასე ლაპარაკობს: „ისინი რომ ერთ ეპოქაში დაბადებულიყვნენ, ისეთ დუეტს შექმნიდნენ, არ ეყოლებოდა ბადალი. მაგრამ თუ მაინცდამაინც ერთის გამორჩევაა საჭირო, ჩემთვის მარკო ყველაზე დიდ თავდამსხმელად რჩება და თანაც ბევრი პარამეტრით: ტექნიკით, სისწრაფით, ელეგანტურობით, თავით თამაშით".

ამავე დროს ვირდისი მეტად მაღალი აზრის არის შევჩენკოზე: „არ მეგონა, თუ იგი იტალიის ჩემპიონატში ასე მალე გამოიჩენდა თავს. შევჩენკო ხომ კიევის „დინამოდან" მოვიდა, რომელიც სულ სხვანაირ ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე „მილანი". „დინამოში" მას თავდასხმაში მხოლოდ ერთი დამხმარე ჰყავდა რებროვი, „მილანში" კი სულ სხვა სიტუაციაა. აქ სამი ფორვარდით თამაშობენ".

გაიხსენა რა თავისი „ოქროს სეზონი" (1986-87), როცა საუკეთესო სნაიპერი გახდა, ვირდისმა განსაკუთრებით გამოჰყო მატჩი „რომასთან" „სან-სიროზე", სადაც სამი გოლი გაიტანა. შევჩენკოსაც ასთივე შედეგი დედაქალაქის კლუბთან ჰქონდა, ოღონდ, „რომასთან" კი არა, „ლაციოსთან".

ვირდისს სთხოვეს დაეხასიათებინა „მილანის" სნაიპერთა კლუბის ყველა წევრი.

— ალდო ბოფიზე (1915-1987, სამჯერ იყო საუკეთესო სნაიპერი – 1939 წელს 19 გოლი გაიტანა, 1940 წელს – 24, 1942 წელს – 22) ვერაფერს გეტყვით. ბოფი ხომ მაშინ თამაშობდა, როცა დაბადებული არ ვიყავი. გუნარ ნორდალის (1921-1995) თამაში ტელევიზორით მინახავს. იგი ძალიან მძლავრი თავდამსხმელი იყო. პრატი – ნამდვილი დამაგვირგვინებელი, გარღვევისა და დარტყმის ოსტატი. რივერა თავდამსხმელი არა ყოფილა, ნახევარმცველი, უფრო შეტევების ორგანიზატორი, ვიდრე შემტევი ნახევარმცველი. ისე რომ, ამის მიუხედავად ამდენი გოლი გაჰქონდა და ერთხელ №1 სნაიპერიც კი გახდა, მხოლოდ ერთ რამეზე მიგვითითებს – მის უმაღლეს კლასზე. კარგად ვიცნობ ალტაფინის. როცა კარიერის „იუვენტუსში" ვიწყებდი, მან, 40 წლისამ დაასრულა თამაში და ძველი ჩვეულების თანახმად მაინც მოდიოდა „კომუნალეს" სტადიონზე, რომ ცოტა ევარჯიშა ან ორმხრივ თამაშში მიეღო მონაწილეობა. ასაკის მიუხედავად იგი ამ მატჩებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. რაც შეეხება ვან ბასტენის სახელს, მას ჩემი კარიერის ნოსტალგიის გრძნობას ვუკავშირებ. ჩვენ ხომ რამდენიმე წელიწადი მხარდამხარ ვთამაშობდით. ძალიან საწყენია, რომ ტრავმებმა ასე ძლიერ შეკვეცეს მისი კარიერა.

პიერინო პრატი

1968 წელს 15 გოლი გაიტანა. იგი უფრო იმით არის ცნობილი, რომ ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში 1969 წელს, როცა „მილანმა" მძიმე მარცხი აგემა ამსტერდამის „აიაქსს" – 4-1, სამი გოლი გაიტანა.

ახლა 53 წლის პრატი ტელეკომენტატორად მუშაობს ლომბარდიის ტელეარხზე და ამავე დროს მილანის საფეხბურთო სკოლის ინსტრუქტორია.

— როცა შევჩენკოს XXI საუკუნის თავდამსხმელს უწოდებენ, ვეთანხმები ამ აზრს. იგი მძლავრია, შეუპოვარი, კოლოსალური პოტენციალი აქვს. ბევრს მოძრაობს, შესაძლოა, საჭიროზე მეტად ბევრსაც. თუმცა მეც მის ასაკში ასეთივე ვიყავი. ტექნიკის თვალსაზრისითაც შეიძლება საუკეთესო თავდამსხმელებს შევადაროთ. როცა იგი უკეთ ისწავლის ბირჰოფის მიწოდებების გამოყენებას, გაცილებით მეტ გოლს გაიტანს, იმიტომ, რომ ბირჰოფი მისთვის საუკეთესო პარტნიორია, არ არის ეგოისტი, არავის ეუბნება უარს მიწოდებებზე.

აი, რა არის პრატის აზრით, შევჩენკოს მთავარი ნაკლი: „მან უნდა გაიუმჯობესოს თავით თამაში". სამი თავდამსხმელით თამაში, რომელსაც ძაკერონი მისდევს, პრატის მოსწონს კიდეც, ვირდისის საწინააღმდეგოდ. „როცა ასეთი შემსრულებლები გყავს, რა თქმა უნდა, ისინი მაქსიმალურად უნდა გამოიყენო, რასაც ძაკი აკეთებს კიდეც. მაგრამ „სამთითას" სინქრონული, შეწყობილი მოქმედება სჭირდება. როცა „შევა" უკან იხევს ან ფრთაზე გადადის, ეს ალარიბებს „მილანის" შეტევას, იმიტომ, რომ მან მუდმივად უნდა იმოქმედოს ბირჰოფთან წყვილში".

როგორ ეჩვენება პრატის, შევჩენკო წელსვე შეძლებს „მილანის" სახელგანთქმულ სნაიპერთა კლუბის წევრად გახდომას? „ეს სავსებით შესაძლებელია. ახლა „მილანსაც" პროგრესის სტადია აქვს და შევჩენკოსაც. ის, რომ მას შეუძლია „ჰეთ-თრიკი" 7 წუთის განმავლობაში შეასრულოს, როგორც ეს პერუჯაში მოხდა, ყველაფერზე მეტყველებს. ისიც ვთქვათ, რამდენ მომენტს ვერ იყენებს. იგი ჯერ კიდევ უნდა იზარდოს და იზარდოს.

აი, როგორ იგონებს პიერინო პრატი თავის დებიუტს „მილანში":

— ეს იყო 1967 წელი, ნოემბერი (პრატი დაიბადა 1946 წელს). ნერეო როკომ გამიყვანა „ვიჩენცასთან" სათამაშოდ. ორი გოლი გავიტანე, ორივე ბურთის მიწაზე დაუშვებლად. ბევრი ენერგია მქონდა და ცოტა ჭკუა; ისევე როგორც ყველა 20 წლის ჭაბუკს. მაშინ უფრო ცოტას ვთამაშობდით, ვიდრე ახლა, „სერია A"-ში 18 კლუბი კი არ იყო, არამედ 16. გარდა ამისა, მე პენალტს არ ვარტყამდი. და მაინც 15 გოლი ამ სეზონში საკმარისი აღმოჩნდა, რომ №1 სნაიპერის წოდება მომეპოვებინა.

მცველების პრობლემა დადგა

თითქოსდა ვარსკვლავებით სავსე „მილანში" მცველების პრობლემა წარმოიქმნა. ახლა მწყობრშია მხოლოდ ორი ოსტატი: პაოლო მალდინი და ფაბიან აიალა. დაშავებული არიან არგენტინელი ხოსე ჩამოტი, ალესანდრო კოსტაკურტა. დისკვალიფიცირებულია ლუიჯი სალა. ჯერ კიდევ არ შემდგარა „ინტერიდან" ნაყიდი ტარიბო უესტის დებიუტი, რომელიც აფრიკის თასზე ნიგერიის ნაკრებში სათამაშოდ გაემგზავრა.

ამ საკმაოდ რთულ სიტუაციაში „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ გადაწყვიტა დაცვის ხაზზე გადაეყვანა დანიელი თომას ჰელვეგი, რომელიც მანამდე, ყოველთვის შუა ხაზზე თამაშობდა. გარდა ამისა, იგი სხვა ცვლილებების ჩატარებასაც აპირებს.

მაია მეორეა, შეიძლება პირველადაც ჩავთვალოთ

მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა ფიდეს რეიტინგ-ლისტში, რომელიც 1 ივლისამდე იქნება ძალაში, 2658 ქულით კვლავინდებურად ლიდერობს ჟუდით პოლგარი (უნგრეთი). აქ ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ყველა წამყვანი დიდოსტატი ქალი ყოველთვის პროტესტს გამოთქვამს, როცა იუდითი ქალთა სიაში შეჰყავთ და ეს სავსებით ბუნებრივიცაა. საქმე ისაა, რომ უნგრელი მოჭადრაკე პრინციპული მოსაზრებით არ თამაშობს ქალთა ასპარეზობებში და რახან მხოლოდ ვაჟთა ტურნირებში გამოდის (მოგეხსენებათ, საკმაოდ წარმატებითაც), ამიტომ მისი მაჩვენებლები მხოლოდ ვაჟთა რეიტინგში უნდა იყოს წარმოდგენილი (იქ იგი დღეისათვის 30-ეა).

იუდით პოლგარის შემდეგ ყოველთვის მეორე იყო მისი უფროსი და ჟუჟა, მაგრამ იმის გამო, რომ უკვე რამდენიმე წელია საერთოდ არსად უთამაშია, დებულების თანახმად ჟუჟა პოლგარი სიიდან ამოიღეს. ამას „რეიტინგის გაყინვა“ ჰქვია, როცა ჟ. პოლგარი თამაშს განაახლებს, იგი რეიტინგ-ლისტში სათანადო ადგილს დაიკავებს.

2545 ქულით მეორე ადგილზეა მაია ჩიბურდანიძე. აქ უნდა გავთქვათ ერთი პატარა საიდუმლო: მაია შარშან სექტემბრისათვის, როცა კიშინიოვში ქალთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო ნოკაუტ-სისტემით, ბრწყინვალედ იყო მომზადებული, და, ამდენად, მსოფლიო ჩემპიონატის წოდების დაბრუნების ჩინებული შესაძლებლობა ჰქონდა. ბედი არ გინდა? ეს ჩემპიონატი ჯერ გაურკვეველი დროით გადაიდო, შემდეგ კი წლევანდელი ნოემბერ-დეკემბრისთვის დაინიშნა. ახლა ბრძოლა, ცხადია, სხვანაირად წარიმართება, ითამაშებენ ისინიც, ვინც სექტემბერში გამოსვლას არ აპირებდა! ამასთან, მაია ხომ მაიაა, და, დარწმუნებული ვართ, წლევანდელ ასპარეზობაშიც არანაკლები შესაძლებლობა ექნება.

სიუ ჟუნი (ჩინეთი), რომელმაც შარშან მსოფლიო ჩემპიონობა დაიბრუნა და, ამდენად, ქულებიც მოიმატა, მესამეა (2542). იგი 29 წლისაა და რა თქმა უნდა, მთელი ძალით იბრძოლებს ძველი და ახალი წოდების დასაცავად.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ამჟამად მეოთხეა კიდევ ერთი ჩინელი, 24 წლის ჟუ ჩენი (2530) – ჩინეთში, შეიძლება ითქვას, დიდი საჭადრაკო ალმავლობაა. ამაში მკითხველი თუნდაც ამ წერილით დარწმუნდება – იგი სიაში ბევრ ჩინელს შეხვდება.

ალისა გალიამოვა (რუსეთი), რომელიც ზაფხულისთვის მეორე იყო, სიუ ჟუნთან მსოფლიო ჩემპიონობის მატჩის წაგების შემდეგ მთელი 41 ქულით დაზარალდა და მეხუთე ადგილზე გადავიდა. მეექვსეა სოფია პოლგარი (უნგრეთი), რომელსაც 2500 ქულა აქვს. იგი ისრაელში გათხოვდა დიდოსტატ იონა ქოსაშვილზე, სწავლობს იერუსალიმის უნივერსიტეტში და... არ თამაშობს! თუ ასე გააგრძელა, მასაც ამოიღებენ სარეიტინგო სიიდან.

ძალიან კარგი წარმატებები აქვს ყოფილ ბულგარელ ვუნდერკინდს, უკვე 20 წლის ანტუანეტა სტეფანოვას (2495), რომელმაც ბათუმის შემდეგ მოიგო 6 დიდოსტატი ქალის ორწრიანი მატჩ-ტურნირი გრონინგენში. მან წლის მანძილზე 51 (!) ქულა მოიმატა, 72 (!), პარტია ითამაშა და მე-16 ადგილიდან მე-7-ზე გადაინაცვლა. ეტყობა ახლა უკვე ანტუანეტა სტეფანოვას დრო დგება.

მეჩვიდმეტედან მერვეზე „გადახტა“ კიდევ ერთი ჩინელი ვან ლი (2495). მან სტეფანოვაზე მეტი, 55 ქულა მოიმატა. პირიქით, მეექვსედან მეცხრეზე გადავიდა მრავალნაცადი შვედი პია კრამლინგი (2493).

თვალში საცემია ნანა იოსელიანის უკუსვლა. იგი მეხუთედან მეათე ადგილზე გადავიდა, ცუდად ითამაშა ბათუმში, 20 ქულა დაკარგა და ახლა 2484 ქულა აქვს. რა თქმა უნდა, პოპულარული მოჭადრაკის ეს მარცხი ძალიან სწყინთ მის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ დროებითი წარუმატებლობა არავის აუცდენია თავიდან. ნანას, ბოლოს და ბოლოს, ორი მატჩი აქვს ნათამაშევი მსოფლიო პირველობაზე, დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს ინარჩუნებს და ვუსურვოთ, რომ თავისი ნიჭი წლევანდელ შეჯიბრებებში გამოაჩინოს.

მომდევნო ადგილებზე არიან: 11. ჩვენთვის უცნობი ჩინელი სიუ იუხუა (2477), 12. უფრო ცნობილი ცინი (ჩინეთი, 2475), 13. უკრაინელი ნატალია ჟუკოვა (2471). 14. ვან პინი (ჩინეთი) – 2469. მეთხუთმეტეა ნინო ხურციძე (2464). ნინოს ახლა ისეთი ასაკი აქვს, რომ დროა მსოფლიოს წამყვან დიდოსტატებს მიუახლოვდეს. ნოემბრამდე, სანამ მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყება, საჭიროა რამდენიმე ძლიერ შეჯიბრებაში მონაწილეობა, იქ სპორტულ შედეგებზე მაინცდამაინც დიდი ყურადღების არმიქცევა და „დარტყმის“ სიძლიერის შენარჩუნება. ზაფხულში 22-ე ადგილზე იყო და ზუსტად ეს პოზიცია შეინარჩუნა ქეთევან კახიანმა (გერმანია, 2437). გერმანელი სპეციალისტების დაკვირვებით, იგი ჩინებულ შედეგებს აღწევს ვაჟებთან თამაშში, არც ისეთ კარგს – ქალებთან, მაგრამ აქედან რაღაც წესს ნუ გამოვიყვანთ. სისტემატურად უკან იხევს ქეთევან არახამია, რომელიც 21-ე ადგილიდან 33-ზე გადავიდა. 27 ქულა დაკარგა და ახლა 2404 აქვს. აქ, რა თქმა უნდა, შვილის შეძენამ და საჭადრაკო პრაქტიკიდან ხანგრძლივმა ჩამოშორებამაც იმოქმედა. ქეთევანს სუსტი შედეგები ჰქონდა ბათუმში, მაგრამ ნოემბრამდე საკმაო დროა და შეიძლება მსოფლიო პირველობისთვის კარგად მომზადება.

კარგა ხნის შესვენების შემდეგ „რეიტინგ-ლისტში“ კვლავ გამოჩნდა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, რომელმაც ნახევარი წლის მანძილზე მხოლოდ ერთ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და 17 სარეიტინგო ქულა მოიმატა, ახლა 43-ეა 2383 ქულით.

ერთი სიტყვით, მსოფლიოს 50 უძლიერესი მოჭადრაკე ქალის სიაში ამჟამად 6 ქართველია, იმდენივე, რამდენიც უკრაინელი. ყველაზე მეტი წარმომადგენელი – 7 კი ჩინეთს ჰყავს.

ბიჲი ბამრეკელი

„ტოტო-ლოტო“

05 ტირაჟის შედეგები 13.02.2000

ლოტო 6-42

2. 5. 7. 35. 36. 38

გათამაშებაში მონაწილეობდა 9187 ვარიანტი

6 რიცხვი 0 x 20 868.60 ლ. გადადის 06 ტირაჟზე
5 რიცხვი 0 x 644.40 ლ. გადადის 06 ტირაჟზე
4 რიცხვი 6 x 38.20 ლ.
3 რიცხვი 191 x 2.10 ლ.

სუპერ 7

4 6 5 6 8 4 1

4656841......56 000 ლარი
656841......15 000 ლარი
56841......5 000 ლარი
6841......500 ლარი
841......50 ლარი
41......3 ლარი
1......50 თეთრი

„ტოტო-ფეხბურთი“ 12 მატჩი

1 X 1 X 2 X 1 1 X 1 1 1

გათამაშებაში მონაწილეობდა 5385 ვარიანტი

12 შედეგი 0 x 13986.50 ლ. გადადის 06 ტირაჟზე
11 შედეგი 1 x 460.10 ლ.
10 შედეგი 12 x 22.40 ლ.

„ტოტო-ფეხბურთი“ 11 მატჩი

0 1 2 1 2 1 2 1 1 1 0

გათამაშებაში მონაწილეობდა 9118 ვარიანტი

11 შედეგი 0 x 2864.40 ლ. გადადის 06 ტირაჟზე
10 შედეგი 1 x 864.30 ლ.
9 შედეგი 12 x 31.60 ლ.

06 ტირაჟის პროგრამა 19-20 თებერვალი

„ტოტო-ფეხბურთი 12“

1.	ინგ.	მიდლსბრო	-	ქოვენტრი	50-30-20
2.	ინგ.	ლიდსი	-	მანჩესტერი	30-40-30
3.	იტ.	პიაჩენცა	-	ინტერი	20-20-60
4.	იტ.	მილანი	-	ლაციო	40-30-30
5.	იტ.	რომა	-	ფიორენტინა	50-30-20
6.	იტ.	ვენეცია	-	იუვენტუსი	20-20-60
7.	გერ.	კაიზერი	-	ვერდერი	40-40-20
8.	გერ.	აინტრახტი	-	მიუნხენ 1860	20-20-60
9.	გერ.	ფრაიბურგი	-	დორტმუნდი	30-40-30
10.	ესპ.	დეპორტივო	-	ბილბაო	50-30-20
11.	ესპ.	ვალენსია	-	რეალი	40-30-30
12.	ესპ.	სოსიედადი	-	სარაგოსა	20-30-50

„ტოტო-ფეხბურთი 11“

1.	იტ.	ვერონა	-	პარმა	20-20-60
2.	იტ.	უდინეზე	-	ბარი	50-30-20
3.	იტ.	რეჯინა	-	პერუჯა	30-40-30
4.	გერ.	ბაიერნი	-	დუისბურგი	70-20-10
5.	გერ.	ულმი	-	ჰანზა	40-40-20
6.	ესპ.	სევილია	-	ალავესი	30-40-30
7.	ესპ.	რაიო ვალეკანო	-	რასინგი	50-30-20
8.	ჰოლ.	ტილბურგი	-	ფეიენოორდი	30-40-30
9.	ჰოლ.	დენ ბოსხი	-	როდა	20-30-50
10.	ბელ.	მეხელენი	-	ბრიუგე	20-20-60
11.	ბელ.	ჰარელბეკი	-	ს. ტრუიდენი	40-40-20

06 ტირაჟის ბილეთები რეგისტრაციაში გაატარეთ 18 თებერვლის ჩათვლით.

რა ხდება ქვეყანაზე

თავნება წყვილი „ამერიკის“ თასის რბოლას ვერ დაესწრება

ამას წინათ ოკლენდში (ახალი ზელანდია) დააპატიმრეს ორი რუსი – რენატა პავლენკო, რომლის პროფესიას „ეგზოტიკური მოცეკვავე“ უწოდეს და მისი მეგობარი ბორის ბაინოვი. თავისთავად ეს სახელები არაფერს ნიშნავს, მაგრამ...

პავლენკო და ბაინოვი დააპატიმრეს უვიზოდ ქვეყანაში შესვლის მცდელობისათვის. ამ წყვილმა ოკლენდის ერთ-ერთ პლაჟზე, გვიან ღამით მიაყენა თვითნაკეთი იახტა ნაპირს და ღუზა ჩაუშვა. ამასთან, იახტის ფსკერი გახვრეტილი იყო და წყლით ივსებოდა. ამ იახტით (არც ძრავა ჰქონდა) ისინი დედამიწის გარშემო მოგზაურობას შეუდგნენ. „კრუიზი“ დაიწყო 1996 წელს ვლადივოსტოკში. იქიდან მოყოლებული იახტა შეუჩერებლივ ლაყლაყებდა წყნარი ოკეანის ტალღებზე. სულელ რუსებს, როგორც მათ ახალზელანდიელებმა უწოდეს, სანავიგაციო შესაბამისი აღჭურვილობაც არ ჰქონდათ. ზელანდიის ნაპირზე „გადმოსვლა“ პავლენკომ იმით ახსნა, რომ თვალნათლივ სურდათ ეხილათ ცნობილი რბოლა „ამერიკის“ თასზე, რომელიც წლეულს გაიმართება.

კითხვაზე რისი იმედით მოდიოდნენ თვითმარქვია შკიპერები, როცა ოკეანის ტალღებს შეებნენ, ბაინოვმა უპასუხა: „ბედ-იღბლის“ და აღიარა, რომ თავის თავს აბსოლუტურ სულელად მიიჩნევს, მაგრამ წარმოუდგენელ ბედნიერადაც. ალბათ, მართლაც ასეა, სამი წლის წინათ, ვიდრე ოკეანეში გავიდოდა, ბაინოვს ხომ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იახტსმენობაზე.

15 დიდოსტატი და „იუნიორი“

დაიწყო ჭადრაკის ისტორიაში პირველი საერთაშორისო ტურნირი ინტერნეტით. მონაწილეებს შინიდან გამოუსვლელად შეეძლებათ თამაში. ტურნირს „კასპაროვის კლუბის“ „გრან პრი“ ჰქვია. დროის კონტროლი ასეთია: 1 საათი მთელ პარტიაზე, ამასთან, მეტოქეები ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს, თანაბარი ანგარიშის შემთხვევაში კი ელვისებურ პარტიას გაითამაშებენ. საპრიზო ფონდი 55 ათასი დოლარია, ამასთან, 20 ათასს პირველი პრიზიორი მიიღებს.

ასპარეზობაში მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, ალექსანდრ მოროზევიჩი, პეტრე სვიდლერი (სამივე - რუსეთი), მაიკლ ადამსი, ნაიჯელ შორტი (ორივე - ინგლისი), აშშ-ს ჩემპიონი ბორის გულკო, ამავე ქვეყნის ყოფილი ჩემპიონები ნიკ დე ფირმიანი და იასერ სეირავანი. უტუტ ადიანტო (ინდონეზია), დიბიენდუ ბარუა (ინდოეთი), ჟილბერტო მილოში (ბრაზილია), იარუნ პიკეტი, ლიუკ ვან ველი (ჰოლანდია), მიგელ ილესკასი (ესპანეთი), ივან სოკოლოვი (ბოსნია და ჰერცოგოვინა).

ამ ფართოდ ცნობილ მოჭადრაკეებთან ერთად ტურნირში მონაწილეობს კიდევ ერთი „დიდოსტატი“ - კომპიუტერი „იუნიორ-6“ ისრაელიდან. იგი ამავე დროს თამაშობს მსოფლიო ჩემპიონატში კომპიუტერებს შორის, რაც ამაში ხელს არ შეუშლის.

ასპარეზობა ოლიმპიური სისტემით ტარდება, ამასთან, პირველ წრეში მეტოქეები რეიტინგის შესაბამისად გაანაწილეს.

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება სპორტულ კომპლექს „ლაგუნა-ვერეს“ კოლექტივი, ვეტერანი სპორტსმენები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მოცურავე და მრავალი წლების განმავლობაში საქართველოს წყალბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოში საცურაო აუზების მშენებლობის ორგანიზატორი

ბურამ მირიანაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



15 თებერვალი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. საფეხბურთო მიმოხილვა (13.05), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის (13.15, 22.10), გერმანიის (15.10), ბრაზილიის (16.20), ესპანეთის (18.10), იტალიის (23.30), საფრანგეთის (23.40) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა. ყველა ვარსკვლავთა მატჩი (18.15), ***ESPN.*** ფეხბურთი: psv-sc ხეერენჯეინი, ჰოლანდიიდან (12.30, 19.00), ასტონ ვილა – მიდლსბრო, ინგლისიდან (21.30). ***EUROSPORT.*** თხილამურები. გიგანტური ტრამპლინი, მსოფლიო პირველობა (11.30), ფიგურული ციგურაობა. ევროპის პირველობა (13.30), ფეხბურთი. ევროგოლი (15.00, 19.30), რალი. მსოფლიო პირველობა (21.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ლეგენდები (2.00).

16 თებერვალი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. რაგბის მოყვარულთათვის (19.35), ***НТВ плюс футбол.*** ბრაზილიის (13.15, 20.05), ესპანეთის (15.20), ინგლისის (16.20, 0.30), საფრანგეთის (17.15), იტალიის (19.15) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (16.25, 0.10), ფრენბურთი. თასების მფლობელთა თასი (18.55), ცურვა. მსოფლიო თასი (20.55), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (14.00, 0.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (11.30), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.00, 14.30, 16.00), სუმო. სუმოს დიდი ტურნირი „იაპონიიდან (1.30)

17 თებერვალი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. II არხი. ავტოსპორტი (19.40). ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (13.15), ბრაზილიის (14.05), საფრანგეთის (21.35), ესპანეთის (0.55) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ცურვა. მსოფლიო თასი (14.55, 0.45), ფრენბურთი. თასების მფლობელთა თასი (17.15), კალათბურთი. ევროლიგა, ვაჟები (20.55). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 6.00, 12.00, 14.00). ფეხბურთი: ინგლისის პრემიერ-ლიგის მიმოხილვა (20.00), „რივერ პლეიტი“ – „ველეზ სარსფილდი“, არგენტინიდან (21.00). ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი. (11.30, 13.00, 15.00, 18.00, 20.30, 23.30).

ჩოგბურთი

მეორე წრიდანვე გამოეთიშა

ევგენი კაფელნიკოვი, რომელიც ახლანდელ მოქმედ „რეიტინგ-ლისტში“ მეორე ადგილზეა, მარსელის (საფრანგეთი) ღია საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 500 ათასი დოლარია), ცხადია, პირველ ნომრად იყო განთესილი და მთავარ ფავორიტადაც ითვლებოდა.

სინამდვილეში პირველ წრეში იტალიელ ჯანლუკა პოცის დამარცხების შემდეგ კაფელნიკოვს თვითონაც სულ მალე ელოდა უსიამოვნება, მეორე წრეში მან წააგო ხორვატ ივან ლიუბიჩიჩთან – 6:7, 3:6.

კროსვორდი №13



თარაზულად: 1. სპორტსმენებისგან შემდგარი ჯგუფი, 3. ზაფხულის მე-18 ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 6. მწვერვალი კავკასიონზე, 7. იტალიელი ფეხბურთელი-მეკარე, 10. მატჩის ნახევარი, 11. საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ამჟამინდელი უცხოელი მწვრთნელი, 12. შედეგი სპორტში, 13. შერჩევა სპორტში, 14. ბრაზილიის საფეხბურთო გუნდი, 15. უმოტორო საფრენი აპარატი, 18. საქართველოს საფეხბურთო გუნდი, 22. ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ყოფილ საბჭოთა სივრციდან, 23. ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი ქვეყანა, 26 კამერუნელი ფეხბურთელი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 27. შეფასება ძიუდოში, 28. ქართველი ძიუდოისტი, 29. ქართული ხალხური თამაშობა, 31. გატაცება ანუ... 32. წარსულში ცნობილი მოჭადრაკე მამაკაცი.

შვეულად: 2. „ჩელსში“ მოთამაშე ფრანგი ფეხბურთელი, 3. სპორტული ანალიზის ნაირსახეობა, სპორტული შეჯიბრება, 4. თანამედროვე უცხოელი მძლეოსანი, 5. აკადემიის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სპორტული შეჯიბრება, 8. ირანელი ფეხბურთელი, 1998 წ. მ/ჩ-ის მონაწილე, 9. ცნობილი გვარი საკალათბურთო სამყაროში, 16. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 17, სპორტის ქართული ეროვნული სახეობა, 19. ძველ საბერძნეთში შენობა წარმოდგენებისა და შეჯიბრებების გასამართავად. 20. წონის ერთეული, რომელსაც კრივშიც იყენებენ, 21. არმიელ სპორტსმენთა კლუბის აბრევიატურა, 24. საჩოგბურთო ტერმინი, 25. ტანვარჯიშული საგანი, 30. მოჭადრაკეთა კოეფიციენტის გამოთვლის სისტემის ავტორი.

კროსვორდი № 12-ის პასუხები:

თარაზულად: 3. მონაკო. 4. რეკობა. 6.რიბლი. 12. რედნეპი. 13. გურიელი. 14. კაუზიო. 15. კლუივერტი. 16. იტალია. 19. შილტონი. 20. სიმეონე. 23. ბურუჩაგა. 24. ხაბარელი. 30. მედვედი. 31. მუშკეტი. 32. ინძაგი. 34. ინდურაინი. 35. პანუჩი. 39. ამოროზო. 40. არარატი. 41.. კროლი. 42. ოუენსი. 43. ტიმანი.

შვეულად: 1. კოლინა. 2. გრემიო. 3. მაცოლა. 5. ანიელი. 7. ბალავაძე. 8. სევილია. 9. აპოლონი. 10. ავსტრია. 11. პლატინი. 17. სტოიჩკოვი. 18. ჩესლავსკა. 21. ბუბკა. 22. გრინი. 25. ბერგომი. 26. უდინეზე. 27. ევერალდო. 28. ტურნირი. 29. ატლანტა. 33. ნაგანო. 36. ჩოგანი. 37. ერანიო. 38. პროსტი.

საჭადრაკო ამოცანა

ვ. გოფმანი

(ულამაზესი 100-წლიანი ამოცანა)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ქh7! 1. ...b5 2. მ:e7+ მფd4 3. მ:c6X.
1. ...c5 2. მd6+ მფd4 3. მb5X.
1. ...g3 2. მh4+ მფd4 3. მf3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდამონიძე.